

ქ ი მ ი ა

X კ ლ ა ს ი

მოსწავლის ნიგანი

პირველი სემესტრი

ქიმია, X კლასი
მოსწავლის ნიგნი

Don't Copy

გამოცემის წელი და რეგისტრაცია 2022 წელი

სარჩევი

თემა 1. ატომის აღნაგობა და ქიმიური ბმა	5
თავი 1. ატომის აღნაგობა	6
1.1 წარმოდგენები ატომის შესახებ	7
1.2 იზოტოპები და რადიოაქტიურობა	10
1.3 ელექტრონული შრეების აღნაგობა	14
1.4 ელექტრონების განაწილება ენერგეტიკულ დონეებზე	17
რადიოაქტიური გამოსხივება	24
ბირთვული რეაქციები	25
შემაჯამებელი სავარჯიშოები	26
თავი 2. ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი	31
2.1 პერიოდულობის კანონი	32
2.2 ელემენტთა განაწილება ბლოკებში	36
2.3 ატომთა მახასიათებლები და მათი პერიოდული ცვლა	39
ექსპერიმენტი	47
შემაჯამებელი სავარჯიშოები	49
თავი 3. ქიმიური ბმა	53
3.1 ქიმიური ბმის ტიპები	54
3.2 იონური ბმა	55
3.3 იონურ ნაერთთა თვისებები	58
3.4 კოვალენტური ბმა	60
3.5 კოვალენტური ბმის ტიპები და მოლეკულის ფორმები	64
3.6 კოვალენტური ბმის წარმოქმნა დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით	69
3.7 კოვალენტური ბმის მახასიათებლები	71
3.8 არამოლეკულური აღნაგობის მქონე ნივთიერებები	73
3.9 მეტალური ბმა	77
3.10 წყალბადური ბმა	79
რენტგენოსტრუქტურული ანალიზი	82
შემაჯამებელი სავარჯიშოები	84
ატომური ელექტროსადგურის (აეს) მუშაობის პრინციპი	91
თემის შემაჯამებელი დავალებები	92
განვლილი მასალის შეჯამება	99
ცხრილი I. როგორ იწერება და როგორ იკითხება ზოგიერთი ქიმიური ელემენტის სიმბოლო	101
ქიმიაში ხშირად გამოყენებული ერთეულები	102
მეტალთა ელექტროქიმიური აქტიურობის მწკრივი	102
ელემენტთა ფარდობითი ელექტროუარყოფითობების ცხრილი	103
მარილების, ფუძეებისა და მჟავების წყალში ხსნადობის ცხრილი	104
ქიმიური ელემენტების პერიოდულობის ცხრილი (გრძელი)	105
ქიმიური ელემენტების პერიოდულობის ცხრილი (მოკლე)	106
გამოსათვლელი დავალებების პასუხები	107
გამოყენებული რესურსები	108

სახელმძღვანელოში გამოყენებული პირობითი ნიშნები



– კითხვები და დავალებები



– ეს საინტერესოა



– საკვანძო კითხვები



– განვლილი მასალის შეჯამება




– შემაჯამებელი სავარჯიშოები



– ექსპერიმენტი


თემა 1.

ატომის აღნაგობა და ქიმიური ბმა



- ?** ამ თემის შესწავლის შემდეგ შეძლებთ უპასუხოთ კითხვებს:
- როგორ ვითარდებოდა წარმოდგენები ატომის აღნაგობის შესახებ?
 - როგორ განვსაზღვროთ ელემენტის თვისებები პერიოდულობის ცხრილში მისი მდებარეობის მიხედვით?
 - როგორ იცვლება ელემენტთა ნაერთების თვისებები პერიოდულობის ცხრილის ჯგუფებსა და პერიოდებში?
 - როგორ ადგენენ ნამარხის ასაკს?
 - როგორ უკავშირდება ატომები ერთმანეთს?
 - რა კავშირები შეიძლება არსებობდეს მოლეკულებს შორის?
 - რა განსაზღვრავს ნივთიერების ფიზიკურ თვისებებს?

თავი 1. ატომის აღნაგობა



1.1


წარმოდგენები ატომის შესახებ

ატომის აღნაგობის შესახებ წარმოდგენა საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა და ვითარდებოდა. ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ.-ის 500 წელს ბერძენი ფილოსოფოსები გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ყველაფერი შედგებოდა უმცირესი ნაწილაკებისაგან, რომლებსაც უწოდეს ატომები, რაც ბერძნულად „განუყოფელს“ ნიშნავს. დროთა განმავლობაში გროვდებოდა მონაცემები ნივთიერებათა თვისებებსა და შედგენილობაზე, რის საფუძველზეც 1808 წელს ჯ. დალტონმა (ნახ. 1.1) ჩამოაყალიბა ატომური თეორია, რომლის ძირითადი დებულებები იყო:

- ყველა ნივთიერება შედგება უმცირესი ნაწილაკებისგან, რომლებსაც ატომები ეწოდება;
- ერთი ელემენტის ყველა ატომი ერთმანეთის მსგავსია ზომით, მასითა და სხვა თვისებებით და ისინი განსხვავდება სხვა ელემენტის ატომებისგან;
- სხვადასხვა ელემენტის ატომები უერთდება ერთმანეთს განსაზღვრული თანაფარდობით და წარმოიქმნება ნაერთები;
- ქიმიურ რეაქციებში ატომები არც წარმოიქმნება და არც ქრება, მხოლოდ ნივთიერებებში შემავალი ატომები გადაჯგუფდება და წარმოიქმნება სხვა ნივთიერებები.

დალტონის ატომურმა თეორიამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ატომურ თეორიას, მიუხედავად იმისა, რომ მისი ზოგიერთი დებულება შეიცვალა. მაგალითად, სადღეისოდ ცნობილია, რომ ერთი ელემენტის ატომები იდენტური არ არის და შეიძლება მასით განსხვავდებოდეს. ასევე გაირკვა, რომ ატომი შედგება კიდევ უფრო მცირე ნაწილაკებისგან, რომელთაც სუბატომური ნაწილაკები უწოდეს. ესენია პროტონები, ნეიტრონები და ელექტრონები.

1897 წელს ჯ. ტომსონმა (ნახ. 1.2) ექსპერიმენტულად დაადგინა, რომ ატომში არის ელექტრონები – უარყოფითად დამუხტული ნაწილაკები. ამის საფუძველზე მან წარმოადგინა ატომის მოდელი, რომელიც „ქიმიშიანი პუდინგის“ სახელწოდებით არის ცნობილი (ნახ. 1.3). მან ჩათვალა, რომ ატომი არის დადებითად დამუხტული მასა, რომელშიც განაწილებულია ელექტრონები, ისევე, როგორც პუდინგში ქიმიშიის მარცვლები.




ნახ. 1.1. ჯონ დალტონი
(John Dalton
1766-1844)




ნახ. 1.2. ჯოზეფ ჯონ ტომსონი
(Joseph John Thomson,
1856-1940)

თავი 1. ატომის აღნაგობა




ნახ. 1.3. ტომსონის „ქიშმიშიანი“ პუდინგის მოდელი.

1911 წელს ე. რეზერფორდმა (ნახ. 1.4) ჩაატარა ექსპერიმენტი (ნახ. 1.5), რომელშიც მან ოქროს თხელ ფირფიტას დაასხივა დადებითად დამუხტული ნაწილაკების ნაკადი. აღმოჩნდა, რომ ნაწილაკთა უმრავლესობამ ფირფიტაში გავლისას ტრაექტორია არ შეიცვალა, მცირე ნაწილი მიმართულებიდან გადაიხარა, ძალიან მცირე ნაწილი კი ფირფიტიდან აირეკლა. ამ ექსპერიმენტის შედეგები ასე აიხსნა: ატომებში არსებობს დადებითად დამუხტული ბირთვი, რომელსაც ძალიან მცირე მოცულობა უკავია. ამიტომ დასხივებული ნაწილაკების უმეტესობა ფირფიტაში დაბრკოლების გარეშე გადის; ბირთვთან ახლოს ჩავლილი ნაწილაკები ბირთვის დადებითი მუხტით განიზიდება და მათი მიმართულება გადაიხრება; ამავე მიზეზით უშუალოდ ბირთვთან შეჯახებული ნაწილაკები აირეკლება. ბირთვის მცირე ზომის გამო ამ უკანასკნელთა რაოდენობა ძალიან მცირეა. ელექტრონებს რაც შეეხება, რეზერფორდმა ივარაუდა, რომ ისინი ატომბირთვის გარშემო არსებულ სივრცეში მოძრაობს.



ნახ. 1.4. ერნესტ რეზერფორდი (Ernest Rutherford, 1871-1937)

ამრიგად, რეზერფორდმა ჩამოაყალიბა ატომის აღნაგობის პლანეტური მოდელი, რომელშიც ატომბირთვის ირგვლივ მოძრავი ელექტრონები მზის გარშემო მოძრავ პლანეტებს იყო შედარებული.



ნახ. 1.5. რეზერფორდის ექსპერიმენტი.

თავი 1. ატომის აღნაგობა

რეზერფორდმა ასევე აღმოაჩინა, რომ ატომბირთვში დადებით მუხტს ქმნის პროტონები – ისეთივე ნაწილაკები, როგორებიც წყალბადის ატომბირთვშია.

შემდგომში ჯ. ჩედვიკმა აღმოაჩინა, რომ პროტონების გარდა ატომბირთვში არსებობს უმუხტო ნაწილაკებიც, რომელთა რაოდენობის ზრდა, იწვევს ატომის მასის ზრდას. ამ ნაწილაკს ნეიტრონი ეწოდა და ექსპერიმენტულად დამტკიცდა, რომ მისი მასა დაახლოებით პროტონის მასის ტოლია.

შეჯამებული სახით სუბატომურ ნაწილაკთა შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1. სუბატომური ნაწილაკების მუხტი და მასა.

ნაწილაკი	სიმბოლო	მუხტი		მასა	
		კულონებში	პირობით ერთეულებში	გრამებში	მასის ატომურ ერთეულებში
პროტონი	p	$1.6 \cdot 10^{-19}$	+1	$1.67 \cdot 10^{-24}$	1.00728
ნეიტრონი	n	0	0	$1.67 \cdot 10^{-24}$	1.00866
ელექტრონი	e ⁻	$1.6 \cdot 10^{-19}$	-1	$9.11 \cdot 10^{-28}$	0.00055

ქიმიური ელემენტის თვისებებს მის ატომბირთვში პროტონების რიცხვი განსაზღვრავს. ეს რიცხვი Z სიმბოლოთი აღინიშნება და მას ატომური, ანუ რიგობრივი ნომერი ეწოდება. რადგან ატომი ელექტრონეიტრალურია, მასში პროტონების რიცხვი ელექტრონების რიცხვის ტოლია, ამიტომ ატომური ნომერი ელექტრონების რაოდენობასაც გვიჩვენებს.

ცხრილიდან 1.1 ჩანს, რომ ელექტრონის მასა სხვა ნაწილაკთა მასასთან შედარებით ძალიან მცირეა. ამიტომ ატომის მასა მხოლოდ პროტონებისა და ნეიტრონების რაოდენობაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ატომის მასური რიცხვი (A) პროტონებისა (N_p) და ნეიტრონების (N_n) რიცხვთა ჯამის ტოლია:

$$A = N_p + N_n$$

რადგან ატომში პროტონთა რაოდენობა (N_p) ატომურ ნომერს (Z) შეესაბამება, ატომის მასური რიცხვი ასეც შეიძლება გამოისახოს:

$$A = Z + N_n$$

პროტონსა და ნეიტრონს საერთო სახელწოდება აქვს – **ნუკლონი** („ნუკლეუს“ ლათინურად „ბირთვს“ ნიშნავს). ატომბირთვში მათი ერთობლიობის გამოსახვისთვის იყენებენ ტერმინს – **ნუკლიდი**. ამრიგად, ელემენტი წარმოადგენს პროტონების ერთნაირი რიცხვის მქონე ნუკლიდების სახესხვაობას, რომელშიც ელექტრონთა რაოდენობა ატომური ნომრის ტოლია.



კითხვები და დავალებები:

ცხრილი გადაიხაზეთ სამუშაო რვეულში და შეავსეთ ცარიელი უჯრები:

ელემენტის სიმბოლო	სახელწოდება	Z	A	N_p	N_n	N_e
Ti	ტიტანი	22	47	22	25	22
		32	72			32
	კალიუმი		39			18
Ar					22	

1.2


იზოტოპები და რადიოაქტიურობა

აღბათ შეგიმჩნევიათ ნახ. 1.6-ზე მოცემული სიმბოლო, რომელიც რადიაციის არსებობის მაჩვენებელია. რა არის რადიაცია, საიდან ჩნდება და რატომ არის საშიში? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გავიხსენოთ, თუ რა არის იზოტოპები. იზოტოპები ეწოდება ატომებს, რომლებსაც პროტონების ერთნაირი რაოდენობა, მაგრამ განსხვავებული მასური რიცხვი აქვს.




ნახ. 1.6. რადიაციის ნიშანი

სხვანაირად რომ ვთქვათ, იზოტოპები ისეთი ნუკლიდებია, რომელთა შედგენილობაშიც პროტონთა რაოდენობა ერთნაირია, ნეიტრონებისა კი – განსხვავებული. მაგალითად, ნახშირბადის იზოტოპები ნაჩვენებია ნახ. 1.7-ზე.




ნახ. 1.7. ნახშირბადის იზოტოპები

ნუკლიდები იწერება შემდეგნაირად: ელემენტის სიმბოლოს მარცხენა ზედა ინდექსად იწერება მასური რიცხვი, ხოლო მარცხენა ქვედა ინდექსად – ატომური ნომერი.



მაგალითად, ელემენტი ქლორს აქვს ორი იზოტოპი, მისი ნუკლიდები ასე ჩაიწერება:



თავი 1. ატომის აღნაგობა

ტექსტში ნუკლიდი შეიძლება მოვიხსენიოთ სახელწოდებითა (ან სიმბოლოთი) და მასური რიცხვის მინიშნებით, მაგალითად:

ქლორ-35 და ქლორ-37; ან Cl-35 და Cl-37

ბუნებაში მხოლოდ ზოგიერთი ელემენტია წარმოდგენილი თითო ნუკლიდის სახით, მაგალითად: ბერილიუმი, ფთორი, ალუმინი, ფოსფორი და სხვ. ქიმიურ ელემენტთა უმრავლესობას რამდენიმე ბუნებრივი ნუკლიდი აქვს, ამიტომ ელემენტის ფარდობითი ატომური მასა ბუნებრივი იზოტოპების საშუალო მასით უნდა გამოისახოს. მისი გამოთვლისას საჭიროა გავითვალისწინოთ, რა წილითაა წარმოდგენილი ბუნებაში თითოეული ნუკლიდი.

მაგალითად, მაგნიუმის ბუნებრივი იზოტოპებია ^{24}Mg (78.6%), ^{25}Mg (10.1%) და ^{26}Mg (11.3%). მაგნიუმის საშუალო ფარდობით მასას თუ გამოვთვლით, მივიღებთ:

$$A_r(\text{Mg}) = \frac{24 \cdot 78.6\% + 25 \cdot 10.1\% + 26 \cdot 11.3\%}{100\%} \approx 24.3$$


ზოგიერთი ელემენტის იზოტოპი რადიოაქტიურია, რაც ნიშნავს, რომ ატომს შეუძლია თავისთავად გამოასხივოს უხილავი ნაწილაკები. ეს მოვლენა 1896 წელს აღმოაჩინა ა. ბეკერელმა (ნახ. 1.8) და მას **რადიოაქტიურობა** ეწოდა. რადიოაქტიური დაშლის პროცესი შემდგომში შეისწავლა მ. სკლადოვსკა-კიურიმ (ნახ. 1.9), რომელმაც ახალი ელემენტები – პოლონიუმი და რადიუმი აღმოაჩინა.

რადიოაქტიურ იზოტოპებს **რადიოიზოტოპები** ეწოდება. ნახშირბადის ერთ-ერთი იზოტოპი C-14, რადიოაქტიურია და ადვილად იშლება. რადიოიზოტოპები სხვადასხვა სიჩქარით იშლება. მათი სიცოცხლისუნარიანობა განისაზღვრება ე. წ. **ნახევრად დაშლის პერიოდით**. ნახევრად დაშლის პერიოდი დროის ის მონაკვეთია, რომლის განმავლობაშიც რადიოიზოტოპის რაოდენობა ორჯერ მცირდება. ნახევრად დაშლის პერიოდი შეიძლება მერყეობდეს რამდენიმე წამიდან მილიონობით წლამდე (ცხრილი 1.2). მაგალითად, ნახშირბად-14-ის ნახევრად დაშლის პერიოდია 5730 წელი, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ გვაქვს ნახშირბად-14-ის 1000 ცალი ატომი, 5730 წლის შემდეგ დარჩება 500 ატომი, 11460 წლის შემდეგ – 250 და ა. შ.

ცხრილი 1.2. ზოგიერთი რადიოაქტიური ელემენტის ნახევრად დაშლის პერიოდი.

ელემენტი	რადიოიზოტოპი	ნახევრად დაშლის პერიოდი
რადონი	რადონ-220	55.5 წმ
კობალტი	კობალტ-60	5.26 წელი
კალიუმი	კალიუმ-40	1300 წელი

რადიოაქტიური გამოსხივება მავნედ ზემოქმედებს ორგანიზმზე. მას შეუძლია დაარღვიოს უჯრედებში მიმდინარე ცხოველქმედების პროცესები, გამოიწვიოს სხვადასხვა პათოლოგია და სიმსივნური დაავადებები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სხივები ადამიანის სასიკეთოდაც გამოიყენება, მაგალითად, სიმსივნური კერების აღმოსაჩენად.



ნახ. 1.8. ანტუან ჰენრი ბეკერელი (Antoine Henri Becquerel, 1852-1908)




ნახ. 1.9. მარია სკლადოვსკა-კიური (Marie Skłodowska-Curie, 1867-1934)

თავი 1. ატომის აღნაგობა

რადიოთერაპიაში სხივები სიმსივნურ დაავადებათა სამკურნალოდ გამოიყენება (ნახ. 1.10). ამ შემთხვევაში კონკრეტულად დაზიანებული უბანს ასხივებენ, რაც მიზნობრივად ანადგურებს მხოლოდ სიმსივნურ უჯრედებს. ერთ-ერთი იზოტოპი, რომელიც ამ მიზნით გამოიყენება, არის კობალტ-60.

უსაფრთხოების მიზნით სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც გამოიყენება რადიოთერაპია, შეხვედებით რადიაციის ნიშანს (ნახ. 1.6).

რადიოაქტიური იზოტოპების ნახევრად დაშლის პერიოდის გამოყენებით შესაძლებელია არქეოლოგიური ნაშთების დათარიღება (ნახ. 1.11). ატმოსფეროში კოსმოსური სხივების აზოტზე მოქმედებით წარმოიქმნება ნახშირბად-14 იზოტოპი, რომელიც ფოტოსინთეზის დროს ნახშირორჟანგის სახით შეითვისება მცენარეთა მიერ და ორგანული ნაერთების შედგენილობაში ხვდება. მცენარეებიდან C-14 კვებითი ჯაჭვით სხვა ცოცხალ ორგანიზმებშიც გადადის. ამ ორგანიზმთა სიკვდილის შემდეგ ნახშირბად-14 იზოტოპი, ცხადია, აღარ შეითვისება. ორგანიზმში არსებული რადიოიზოტოპი რადიოაქტიურ დაშლას იწყებს და მისი რაოდენობა მცირდება. შესაბამისად, ორგანიზმთა ნაშთებში იცვლება ნახშირბადის რადიოაქტიური (C-14) და არარადიოაქტიური (C-12 და C-13) იზოტოპების თანაფარდობა. რაც უფრო ნაკლებია რადიოიზოტოპის შემცველობა, მით უფრო მეტია ნაშთის ასაკი, რომლის გამოსათვლელადაც C-14 იზოტოპის ნახევრად დაშლის პერიოდი გამოიყენება.



ნახ. 1.10. რადიოთერაპიის პროცედურა თავის ტვინის სიმსივნის სამკურნალოდ.




ნახ. 1.11. ეგვიპტის პირამიდებში ნაპოვნი მუმების ასაკი რადიოიზოტოპური დათარიღების მეთოდითაა დადგენილი.



კითხვები და დავალებები:

1. დიაგრამაზე მოცემულია ბრომის იზოტოპების ბუნებაში გავრცელება:



გამოთვალეთ ბრომის საშუალო ფარდობითი ატომური მასა.

თავი 1. ატომის აღნაგობა

2. ნობელის პრემიის არსებობის ისტორიაში კიურების ოჯახი ერთადერთია, რომელსაც პრემიის სამი ლაურეატი ჰყავს. მოიძიეთ ინფორმაცია მათი მოღვაწეობისა და აღმოჩენების შესახებ.
3. I-131 გამოიყენება ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის. ცხრილში მოცემულია იოდ-131-ის მასის ცვლილება დროში. გადახაზეთ ცხრილი სამუშაო რეგულში და შეავსეთ ცარიელი უჯრები, თუ იოდ-131-ის ნახევრად დაშლის პერიოდია 8 დღე.

გავლილი დრო, დღე	0	8	16			128	
I-131-ის მასა, გ	1024			128	64		16

4. რომელი ნუკლიდის ატომბირთვშია პროტონებისა და ნეიტრონების თანაბარი რაოდენობა?
 - ა) ^{19}F ; ბ) ^{28}Si ; გ) ^{27}Al ; დ) ^7Li .
5. რომელი ნუკლიდის ატომბირთვი შეიცავს 26 პროტონს?
 - ა) S; ბ) Cu; გ) Fe; დ) Ca.
6. რას უდრის ნეიტრონების რიცხვი $^{31}_{15}\text{P}$ ნუკლიდში?
 - ა) 31; ბ) 16; გ) 15; დ) 46.
7. ნუკლიდის $^{24}_{12}\text{Mg}$ ბირთვის მუხტი და მასური რიცხვი შესაბამისად არის:
 - ა) +24; 12; ბ) +12; 24; გ) +24; 24; დ) +12; 12.
8. ელემენტის ატომი შეიცავს 17 პროტონს, 20 ნეიტრონსა და 17 ელექტრონს. ამ ელემენტის მასური რიცხვია:
 - ა) 17; ბ) 20; გ) 37; დ) 54.
9. ელემენტი არგონი ბუნებაში არსებობს სამი იზოტოპის სახით. მათი მასებია 36, 38 და 40.
 - ა) დაწერეთ ელემენტის სიმბოლო.
 - ბ) რა აქვს ამ იზოტოპებს საერთო?
 - გ) რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან?
 - დ) რატომ არაა არგონის ფარდობითი ატომური მასა მთელი რიცხვი?
 - ე) ივარაუდეთ, ჩამოთვლილთაგან რომელი იზოტოპია ყველაზე გავრცელებული ბუნებაში.
10. $^{14}_7\text{N}$ და $^{14}_6\text{C}$ აქვს ერთნაირი:
 - ა) ელექტრონების რიცხვი; ბ) პროტონების რიცხვი;
 - გ) ნეიტრონების რიცხვი; დ) მასური რიცხვი.

1.3


ელექტრონული შრეების აღნაგობა

მე-20 საუკუნეში ტექნოლოგიურმა პროგრესმა მეცნიერებს შესაძლებლობა მისცა განევიტარებინათ არსებული წარმოდგენები ატომის აღნაგობის შესახებ. 1913 წელს ნ. ბორმა (ნახ. 1.12) ჩამოაყალიბა დებულებები, რომელთა მიხედვითაც ელექტრონები მოძრაობს ბირთვის გარშემო გარკვეული ენერგიის შრეებზე.

სივრცის იმ ნაწილს, სადაც ელექტრონი მოძრაობს ბირთვის გარშემო, ელექტრონული გარსი ანუ ელექტრონული შრე ეწოდება. ამ შრეებზე ელექტრონის ბრუნვას გარკვეული ენერგია სჭირდება, ამიტომ მათ ენერგეტიკულ დონეებსაც უწოდებენ (ნახ. 1.13). პირველი შრე ყველაზე ახლოსაა ატომბირთვთან და ყველაზე ნაკლები ენერგიით ხასიათდება. რაც უფრო დაშორებულია ენერგეტიკული დონე ატომბირთვიდან, მით უფრო მეტი ენერგიაა საჭირო მასზე მოძრაობისათვის. რაც უფრო დაშორებულია შრე ატომბირთვიდან, მით უფრო მეტი ელექტრონი შეიძლება მასზე მოძრაობდეს. ენერგეტიკულ დონეზე ელექტრონების მაქსიმალური რიცხვი (N) გამოითვლება ფორმულით $N = 2n^2$, სადაც n არის ენერგეტიკული დონის ნომერი, რომელზეც ეს ელექტრონებია განლაგებული (ცხრილი 1.3).



ნახ. 1.12. ნილს ბორი (Niels Bohr, 1885-1962)



ნახ. 1.13. ელექტრონული შრეები ანუ ენერგეტიკული დონეები.


ცხრილი 1.3. ელექტრონების რიცხვი ენერგეტიკულ დონეებზე.

ენერგეტიკული დონის ნომერი	1	2	3	4
ელექტრონების მაქსიმალური რიცხვი	2	8	18	32

თანამედროვე ატომური თეორია, რომლის ფუძემდებლებად ე. შრედინგერი, ლ. დე ბროილი და ვ. ჰაიზენბერგი ითვლებიან, 1920 წლიდან ჩამოყალიბდა. ამის შედეგად შეიქმნა ატომის თანამედროვე მოდელი (ნახ. 1.14), რომლის თანახმადაც ელექტრონი ზუსტად განსაზღვრული ტრაექტორიით კი არ მოძრაობს, არამედ იმყოფება ატომის

თავი 1. ატომის აღნაგობა


გარშემო სივრცის გარკვეულ ნაწილში, რომელსაც **ელექტრონული ღრუბელი** ეწოდება. შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა წერტილში იმყოფება ელექტრონი დროის მოცემულ მომენტში. **სივრცის იმ ნაწილს, რომელშიც ელექტრონი ყველაზე ხშირად იმყოფება, ელექტრონული ორბიტალი ეწოდება.**



ნახ. 1.14. ატომის აღნაგობის შესახებ წარმოდგენების განვითარება.


აღმოჩნდა, რომ ელექტრონული ორბიტალი 4 სხვადასხვა ფორმის შეიძლება იყოს (ნახ. 1.15):

- **s** ორბიტალს სფეროს ფორმა აქვს;
- **p** ორბიტალს ჰანტელისებური (რვიანის მსგავსი) ფორმა აქვს და სივრცეში სამი სხვადასხვა სახით შეიძლება იყოს ორიენტირებული (აღინიშნება: p_x , p_y , p_z);
- **d** და **f** ორბიტალებს გაცილებით რთული ფორმა აქვს. მათ, შესაბამისად, 5 და 7 განსხვავებული სივრცითი ორიენტაცია ახასიათებს.



ნახ. 1.15. ელექტრონული ორბიტალების სივრცული აღნაგობა.

თავი 1. ატომის აღნაგობა



ნახ. 1.16. მე-2 ენერგეტიკული დონის 2s და 2p ქვედონეები.

ატომში თითოეული ენერგეტიკული დონე შედგება ქვედონეებისგან, ხოლო ქვედონეები აერთიანებს ერთი და იმავე შრის ერთნაირი ფორმის ორბიტალებს (ნახ. 1.16). მაგალითად, 1-ლი ელექტრონული შრე შედგება ერთი ქვედონისგან, რომელსაც მხოლოდ ერთი s ორბიტალი შეესაბამება – 1s. მეორე ენერგეტიკული დონე იყოფა ორ ქვედონედ: 2s, რომელიც მხოლოდ ერთ s ორბიტალს მოიცავს და 2p, რომელიც სამ p ორბიტალს მოიცავს. მე-3 შრიდან ქვედონეებს კიდევ ხუთი d ორბიტალი ემატება, ხოლო მე-4 შრიდან – შვიდი f ორბიტალი (ცხრილი 1.4).

ცხრილი 1.4. ენერგეტიკულ დონეები და ქვედონეები.

ენერგეტიკული დონე	ენერგეტიკული ქვედონეები				ელექტრონთა რაოდენობა თითოეულ ქვედონეზე				ელექტრონთა საერთო რიცხვი ენერგეტიკულ დონეზე
					s	p	d	f	
1	1s				2				2
2	2s	2p			2	6			8
3	3s	3p	3d		2	6	10		18
4	4s	4p	4d	4f	2	6	10	14	32



კითხვები და დავალებები:


ნახ. 1.14-ის მიხედვით შეადარეთ ერთმანეთს ატომთა მოდელები, დაასახელეთ თითოეული მათგანის ნაკლი და განიხილეთ, თუ როგორ შეუწყო ხელი თითოეულმა მისი მომდევნო მოდელის განვითარებას.

1.4

ელექტრონების განაწილება ენერგეტიკულ დონეებზე


ელექტრონების ენერგეტიკულ დონეებზე განაწილებისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ ელექტრონები ჯერ მინიმალური ენერგიის მქონე ქვედონეს იკავებს, ხოლო შემდეგ უფრო მაღალი ენერგიის მქონე ქვედონეებს ავსებს. ამ წესს **უმცირესი ენერგიის პრინციპი** ეწოდება. ქვედონეების ენერგიები გამოსახულია ნახ. 1.17-ზე, საიდანაც ჩანს, რომ ისინი ივსება შემდეგი თანმიმდევრობით:

$$1s - 2s - 2p - 3s - 3p - 4s - 3d - 4p \dots$$



ნახ. 1.17. ენერგეტიკული ქვედონეები.

ორბიტალზე მოძრაობისას ელექტრონი საკუთარი ღერძის გარშემოც მოძრაობს. მას შეუძლია იმოძრაოს როგორც საათის ისრის მიმართულებით (აღნიშვნა ზემოთ მიმართული ისრით), ისე მის საწინააღმდეგოდ. ისინი, შესაბამისად, ზემოთ და ქვემოთ მიმართული ისრებით აღინიშნება (ნახ. 1.18).




ნახ. 1.18. ელექტრონთა მოძრაობა საკუთარი ღერძის გარშემო.

აღმოჩნდა, რომ ერთსა და იმავე ორბიტალზე შეიძლება მოძრაობდეს ორი ისეთი ელექტრონი, რომლებიც საკუთარი ღერძის გარშემო ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით ბრუნავს.

თავი 1. ატომის აღნაგობა

თითოეული ელემენტის ატომში ელექტრონების განაწილება ანუ კონფიგურაცია გამოისახება ელექტრონული და ელექტრონულ-გრაფიკული ფორმულების, ანუ ორბიტალური დიაგრამების საშუალებით.

მაგალითად, წყალბადის ერთ ენერგეტიკულ დონეზე მოძრაობს ერთი ელექტრონი, რომელიც შეიძლება მარტივად შემდეგნაირად გამოისახოს (ნახ. 1.19):



ნახ. 1.19. წყალბადის ატომის მოდელი.

ქვედონეებზე ელექტრონების განაწილების საჩვენებლად გამოიყენება ელექტრონული ფორმულა (ნახ. 1.19):



ნახ. 1.20. წყალბადის ელექტრონული ფორმულა.

ელექტრონული ფორმულის ჩანერისას თითოეული ქვედონისათვის ჯერ იწერება ენერგეტიკული დონის ნომერი, შემდეგ კი ქვედონის აღმნიშვნელი ასო, რომელსაც ხარისხის მაჩვენებლად ეწერება ამ ქვედონეზე არსებული ელექტრონების რაოდენობა (ნახ. 1.20). მაგალითად, $1s^2$ ნიშნავს, რომ პირველი ენერგეტიკული დონის s ქვედონეზე 2 ელექტრონია; $3p^4$ – მე-3 ენერგეტიკული დონის p ქვედონეზე 4 ელექტრონია განლაგებული.

ატომში ელექტრონების მდგომარეობის საჩვენებლად ასევე გამოიყენება ელექტრონულ-გრაფიკული ფორმულა, ანუ ორბიტალური დიაგრამა, რომელიც უჯრების საშუალებით გამოისახება. აქ თითოეულ ორბიტალს თითო უჯრა შეესაბამება, ხოლო ელექტრონებს – ისრები, რომლებიც საკუთარი ღერძის გარშემო მოძრაობის მიმართულების შესაბამისია. მაგალითად, წყალბადის ატომში ერთი ელექტრონია და ის აღინიშნება ზევით მიმართული ისრით (ნახ. 1.21 და ცხრილი 1.5).



ნახ. 1.21. წყალბადის ელექტრონულ-გრაფიკული ფორმულა, ანუ ორბიტალური დიაგრამა.





ჰელიუმის ატომში უკვე გვაქვს მეორე ელექტრონიც, რომელიც საკუთარი ღერძის გარშემო მოძრაობს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით, ამიტომ ჩაიწერება ქვევით მიმართული ისრით (ცხრილი 1.5).

თავი 1. ატომის აღნაგობა

ცხრილი 1.5. ელექტრონების განაწილება წყალბადისა და ჰელიუმის ატომებში.

ელექტრონების განაწილება ენერგეტიკულ დონეებზე	ელექტრონულ-გრაფიკული ფორმულა (ორბიტალური დიაგრამა)	ელექტრონული ფორმულა
1 	 1s	$1s^1$
2 	 ენერგეტიკული დონე	$1s^2$

p, d და f ორბიტალები ჯერ ერთი მიმართულების ელექტრონებით შეივსება (ზევით მიმართული ისარი), ხოლო შემდეგ განწყვილდება საპირისპიროდ მიმართული ელექტრონებით (ქვევით მიმართული ისარი).

6 	 ენერგეტიკული დონე	$1s^2 2s^2 2p^2$
8 	 ენერგეტიკული დონე	$1s^2 2s^2 2p^4$

მე-11 ელემენტიდან იწყება ახალი, მე-3 დონის ორბიტალების შევსება, რაც მე-2 დონის ანალოგიურად ხდება, მიუხედავად იმისა, რომ მე-2 დონისაგან განსხვავებით, აქ 3s და 3p ქვედონეების გარდა, 3d ქვედონეცაა (ცხრილი 1.6).

თავი 1. ატომის აღნაგობა

ცხრილი 1.6. ელექტრონების განაწილება ნატრიუმისა და არგონის ატომებში.

11			$1s^2 2s^2 2p^6 3s^1$
18			$1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6$

ელექტრონული ფორმულების ჩანერის გამარტივების მიზნით გამოიყენება კეთილშობილი აირების სიმბოლო. შევსებული ელექტრონული კონფიგურაციის მაგივრად იწერება მისი შესაბამისი კეთილშობილი აირის სიმბოლო, რომელიც ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილში.

მაგალითად, ჩავენროთ ალუმინის ატომის შემოკლებული ელექტრონული ფორმულა: ფორმულა სრული სახით ასეთია:




მე-2 დასრულებული შრის კონფიგურაცია ($1s^2 2s^2 2p^6$) შეეცვალოთ შესაბამისი კეთილშობილი აირის, ანუ ნეონის სიმბოლოთი, ხოლო ფორმულის დანარჩენი ნაწილი დავტოვოთ უცვლელი (ნახ. 1.22):



ნახ. 1.22. ალუმინის ატომის ელექტრონული კონფიგურაციის გამოსახვა შემოკლებული ელექტრონული ფორმულის სახით.


IV პერიოდის ელემენტებში თითქოს უნდა გაგრძელებულიყო 3d ორბიტალის შევსება, მაგრამ 3d ორბიტალზე ელექტრონს უფრო მაღალი ენერგია სჭირდება, ვიდრე შემდეგი შრის 4s ორბიტალზე (იხ. ნახ. 1.17), ამიტომ ჯერ შეივსება 4s ორბიტალი, შემდეგ – 3d ორბიტალი, შემდეგ კი – 4p. აქედან გამომდინარე, კალიუმის ელექტრონული ფორმულაა (ნახ. 1.23):

თავი 1. ატომის აღნაგობა



ნახ. 1.23. კალიუმის ელექტრონული კონფიგურაცია.


21-ე ელემენტიდან (სკანდიუმი) იწყება 3d ორბიტალის შევსება (ნახ. 1.24).



ნახ. 1.24. სკანდიუმის ელექტრონული კონფიგურაცია.

ამ შემთხვევაშიც ქვედონეებზე ელექტრონების განაწილებისას ზემოთ აღწერილი წესები ძირითადად დაცულია, მაგრამ ზოგიერთ ელემენტში გვხვდება გამონაკლისი.

მაგალითად, ქრომის ატომის ელექტრონული ფორმულა არის $[Ar]4s^1 3d^5$, ნაცვლად $[Ar]4s^2 3d^4$ -სა (ნახ. 1.25), რაც აიხსნება ნახევრად შევსებული 3d ორბიტალის ენერგეტიკული სტაბილურობით.



ნახ. 1.25. ქრომის ელექტრონული კონფიგურაცია.

თავი 1. ატომის აღნაგობა

30-ე ელემენტი სრულად ივსება 3d ქვედონე. ხოლო მომდევნო ელემენტიდან კი იწყება 4p ქვედონის შევსება, რომელიც სრულდება კრიპტონში.



კითხვები და დავალებები:

1. გადახაზეთ ცხრილი სამუშაო რვეულში და შეავსეთ ცარიელი უჯრები:

ელემენტის სიმბოლო	ატომბირთვის მუხტი	ელექტრონული ფორმულა
Si		
	+17	
		$1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^1$

2. მოცემული ელექტრონული ფორმულებიდან, რომელი ჩანანერია არასწორი?

ა) $3s^2$; ბ) $2s^3$; გ) $2p^6$; დ) $3p^8$; ე) $3d^4$; ვ) $2d^3$

3. გადაიხაზეთ ცხრილი სამუშაო რვეულში და შეავსეთ ცარიელი უჯრები:

ელექტრონების განაწილება ენერგეტიკულ დონეებზე	ელექტრონულ-გრაფიკული ფორმულა (ორბიტალური დიაგრამა)	ელექტრონული ფორმულა
3		
5		

თავი 1. ატომის აღნაგობა

		$1s^2 2s^2 2p^3$
		$1s^2 2s^2 2p^6$
20		

4. პერიოდულობის ცხრილის მე-4 პერიოდში, მსგავსად ქრომისა, ორბიტალის შევსების წესის გამონაკლისს წარმოადგენს სპილენძი. შეადგინეთ მისი ელექტრონული და ელექტრონულ-გრაფიკული ფორმულა.

5. ივარაუდეთ, მე-5 პერიოდის ელემენტებიდან რომელი იქნება გამონაკლისი, სპილენძისა და ქრომის მსგავსად.

6. მოცემულთაგან რომელ ნაწილას აქვს ისეთივე ელექტრონული კონფიგურაცია, როგორიც კალიუმის იონს (K^+)?

ა) ფთორის იონს;

ბ) ნატრიუმის იონს;


გ) ნეონის ატომს;

დ) არგონის ატომს.



რადიოაქტიური გამოსხივება


1899 წელს ერნესტ რეზერფორდმა დაადგინა რადიოაქტიური გამოსხივების ბუნება. ამისათვის მან რადიოაქტიური ნივთიერება - რადიუმი მოათავსა ორ ურთიერთსაწინააღმდეგოდ დამუხტულ ფირფიტას შორის, ძლიერ ელექტრომაგნიტურ ველში (ნახ. 1). აღმოჩნდა, რომ რადიუმიდან გამოსული სხივთა კონა სამ ნაწილად გაიყო: პირველი ნაწილი გადაიხარა უარყოფითად დამუხტული ფირფიტის მხარეს, მეორე ნაწილი საერთოდ არ გადაიხარა, ხოლო მესამე ნაწილი - დადებითად დამუხტული ფირფიტის მხარეს. შესაბამისად, უარყოფითი ფირფიტისკენ გადახრილ ნაწილაკებს გააჩნდა დადებითი მუხტი, დადებითისაკენ გადახრილს - უარყოფითი მუხტი, ხოლო გადაუხრელი იყო უმუხტო. რეზერფორდმა დადებითად დამუხტულ ნაწილაკებს α გამოსხივება უწოდა, უარყოფით ნაწილაკებს - β , ხოლო სხივის იმ ნაწილს, რომელიც საერთოდ არ გადაიხარა და იყო უმუხტო - γ გამოსხივება.



ნახ. 1. რადიოაქტიური გამოსხივების დაშლა α -, β - და γ -სხივებად.

რეზერფორდმა დაადგინა, რომ α -სხივები წარმოადგენს ჰელიუმის ატომბირთვების ნაკადს, β -სხივები - სწრაფი ელექტრონების ნაკადს, ხოლო γ -სხივები - მაღალი ენერგიის მქონე ელექტრომაგნიტურ ტალღებს.

α -სხივების გამჭოლუნარიანობა ძალიან მცირეა - ქაღალდშიც კი ვერ გადის. β -სხივების გამჭოლუნარიანობა დაახლოებით 100-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე α -სხივების, ხოლო γ -სხივებისა კიდევ უფრო მაღალია - თავისუფლად გადის 30 სმ-ის სისქის რკინის ფირფიტაში, მათ მხოლოდ ტყვიის სქელი ფენა აკავებს (ნახ. 2).




ნახ. 2. რადიოაქტიური სხივების განსხვავებული გამჭოლუნარიანობა.



ბირთვული რეაქციები

ბირთვულს უწოდებენ ისეთ რეაქციებს, რომლებიც ატომთა ბირთვების ან სუბ-ატომური ნაწილაკების ურთიერთქმედებით მიმდინარეობს. პირველი ბირთვული რეაქცია, რომელიც ენერგიის მისაღებად გამოიყენეს, იყო $U-235$ ატომბირთვის დაშლა ნეიტრონებთან შეჯახებით ანუ დაბომბვით (ნახ. 3). ამ დროს გამოიყოფა 2 ახალი, ე. წ. „მეორადი“ ნეიტრონი და თავისუფლდება კოლოსალური ენერგია – მაგალითად, 1 გ $U-235$ -ის დაშლისას გამოიყოფა $7,5 \cdot 10^7$ კჯ, რაც 2 ტონა ნახშირის დაწვის დროს გამოყოფილ ენერგიას აღემატება. მეორადი ნეიტრონები ბომბავს $U-235$ -ის სხვა ატომს და იწვევს მის დაშლას ახალი ნეიტრონების გამოყოფით, რომლებიც, თავის მხრივ, კიდევ სხვა ატომზე მოქმედებს და ა. შ. ამიტომ პროცესი ჯაჭვურად გრძელდება, რის გამოც მას ჯაჭვური რეაქცია ეწოდა.




ნახ. 3. ბირთვული ჯაჭვური რეაქცია.

ბირთვული რეაქცია შეიძლება ჯაჭვურად არ გაგრძელდეს და შეწყდეს, თუ მასში ყველა მეორადი ნეიტრონი არ მიიღებს მონაწილეობას. ეს რომ არ მოხდეს, ურანის მასა დიდი უნდა იყოს, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს მის ე. წ. „კრიტიკულ მასას“. კრიტიკული მასა არის ბირთვულ რეაქციაში მონაწილე ნივთიერების მინიმალური მასა, რომელიც საჭიროა ჯაჭვური რეაქციის დასაწყებად. მაგალითად, $U-235$ -ის კრიტიკული მასა არის 50 კგ.



შემაჯამებელი სავარჯიშოები

1. რას უდრის მოცემული ელემენტის ატომბირთვის მუხტი?




- ა) +5; ბ) +7; გ) + 14; დ) +8.
2. რამდენი პროტონი და ნეიტრონია $^{235}_{92}\text{U}$ -ის ატომბირთვში?
 ა) 92 პროტონი და 235 ნეიტრონი; ბ) 92 პროტონი და 143 ნეიტრონი;
 გ) 92 ნეიტრონი და 235 პროტონი; დ) 92 ნეიტრონი და 143 პროტონი.
3. რამდენი პროტონი(p), ნეიტრონი(n) და ელექტრონია(e) $^{11}_5\text{B}$ ნუკლიდში?
 ა) p=5; n=5; e=11; ბ) p=5; n=6; e=11;
 გ) p=5; n=6; e=5; დ) p=5; n=5; e=6.
4. ელემენტის ატომური ნომერი, რომლის ატომბირთვიც შეიცავს 4 პროტონს და 5 ნეიტრონს, არის:
 ა) 9; ბ) 5; გ) 4; დ) 1.
5. თუ ელემენტის ატომი შეიცავს 4 პროტონს, 5 ნეიტრონს და 4 ელექტრონს, ეს ელემენტი არის:
 ა) Be; ბ) N; გ) B; დ) C.
6. მოცემულია ნუკლიდი $^{56}_{26}\text{Fe}$. რამდენ ნეიტრონია მოცემულ ატომში?
 ა) 26; ბ) 30; გ) 56; დ) 82.
7. რამდენ ელექტრონს შეიცავს Ca^{2+} ?
 ა) 18; ბ) 20; გ) 22; დ) 40.
8. რამდენ ელექტრონს შეიცავს N^{3-} ?
 ა) 7; ბ) 4; გ) 10; დ) 14.
9. რას აჩვენებს ელემენტის რიგობრივი ნომერი?
 ა) სავალენტო ელექტრონების რაოდენობას;
 ბ) ენერგეტიკული დონეების რაოდენობას;
 გ) პროტონების რაოდენობას ატომბირთვში;
 დ) ნეიტრონების რაოდენობას ატომბირთვში.
10. s- და p-ბლოკის ელემენტებისთვის ჯგუფის ნომერი გვიჩვენებს ...
 ა) ენერგეტიკული დონეების რაოდენობას;
 ბ) სავალენტო ელექტრონების რაოდენობას;
 გ) ნეიტრონების რაოდენობას ატომბირთვში;
 დ) პროტონების რაოდენობას ატომბირთვში.

თავი 1. ატომის აღნაგობა

11. მოცემულია ნუკლიდი $^{52}_{24}\text{Cr}$. რამდენ ნეიტრონს შეიცავს მოცემული ატომი?
 ა) 24; ბ) 28; გ) 52; დ) 76.
12. მოცემულია ნუკლიდი $^{197}_{79}\text{Au}$. რამდენ ნეიტრონს შეიცავს მოცემული ატომი?
 ა) 79; ბ) 118; გ) 197; დ) 276.
13. იხელმძღვანელეთ ელემენტთა პერიოდულობის ცხრილით და შეავსეთ ცხრილის ცარიელი უჯრები:


ელემენტის სახელწოდება	სიმბოლო	Z	A	N _p	N _n	N _e
	Al		27			
		12			12	
კალიუმი					20	
				16	15	
			56			26

14. ელემენტი გალიუმი ბუნებაში გავრცელებულია ორი იზოტოპის სახით:



გამოთვალეთ გალიუმის საშუალო ფარდობითი ატომური მასა.

15. ელემენტი სპილენძი ბუნებაში გავრცელებულია ორი იზოტოპის სახით:



გამოთვალეთ სპილენძის საშუალო ფარდობითი ატომური მასა.

თავი 1. ატომის აღნაგობა


16. პროტონებისა და ელექტრონების რაოდენობის მიხედვით ჩაწერეთ იონის სიმბოლო:

- ა) 3 პროტონი და 2 ელექტრონი; ბ) 9 პროტონი და 10 ელექტრონი;
 გ) 12 პროტონი და 10 ელექტრონი; დ) 26 პროტონი და 23 ელექტრონი;
 ე) 8 პროტონი და 10 ელექტრონი; ვ) 19 პროტონი და 18 ელექტრონი.


17. რომელი კეთილშობილი აირის ელექტრონული კონფიგურაცია აქვს მოცემულ ელემენტთა იონებს? დაწერეთ მათი ელექტრონული ფორმულები.

- ა) ნატრიუმი და ფთორი; ბ) კალიუმი და გოგირდი; გ) კალციუმი და ქლორი.

18. თითოეულ მოდელს მიაწერეთ შესაბამისი ნაწილაკის (ატომის ან იონის) ფორმულა:



19. თითოეულ მოდელს A, B, C, D, E მიაწერეთ შესაბამისი ნაწილაკის (ატომის ან იონის) ფორმულა.



20. დაწერეთ ენერგეტიკულ შრეებზე ელექტრონების განაწილება მოცემული იონებისთვის:

- ა) N^{3-} ; ბ) Mg^{2+} ; გ) P^{3-} ; დ) Al^{3+} ; ე) Li^{+} .

თავი 1. ატომის აღნაგობა

21. ქრომი ბუნებაში გავრცელებულია ოთხი იზოტოპის სახით.

იზოტოპი	გავრცელება ბუნებაში %
$^{50}_{24}\text{Cr}$	4.35
$^{52}_{24}\text{Cr}$	83.79
$^{53}_{24}\text{Cr}$	9.50
$^{54}_{24}\text{Cr}$	2.36

გამოთვალეთ ქრომის საშუალო ფარდობითი ატომური მასა.

22. სილიციუმი ბუნებაში გავრცელებულია სამი იზოტოპის სახით.

იზოტოპი	გავრცელება ბუნებაში %
$^{28}_{14}\text{Si}$	92.2
$^{29}_{14}\text{Si}$	4.7
$^{30}_{14}\text{Si}$	3.1

გამოთვალეთ სილიციუმის საშუალო ფარდობითი ატომური მასა.

23. ინდიუმი ბუნებაში გავრცელებულია ორი იზოტოპის სახით: ინდიუმ-113 და ინდიუმ-115. მისი ფარდობითი ატომური მასაა 114.82. გამოთვალეთ ინდიუმის იზოტოპთა გავრცელება ბუნებაში (%).

24. სტიბიუმი ორი იზოტოპის სახითაა ბუნებაში. სტიბიუმ-121 და სტიბიუმ-123. გამოიყენეთ პერიოდულობის ცხრილი და იპოვეთ იზოტოპთა გავრცელება ბუნებაში (%).

25. შეადგინეთ მოცემულ იონთა ელექტრონული კონფიგურაციები:

ა) Ca^{2+} ; ბ) Cr^{3+} ; გ) Co^{2+} ; დ) Rb^{+} .

26. შეავსეთ ცხრილი:

	$^{16}_8\text{O}$	$^{17}_8\text{O}$	$^{18}_8\text{O}$
მასური რიცხვი			
პროტონების რაოდენობა			
ნეიტრონების რაოდენობა			
ატომბირთვის მუხტი			
ელექტრონების რაოდენობა			

27. რომელი ელემენტის სიმბოლოა აღნიშნული E ასოთი თითოეულ შემთხვევაში?
ა) ${}_{17}^{37}\text{E}$; ბ) ${}_{18}^{38}\text{E}$; გ) ${}_{20}^{40}\text{E}$; დ) ${}_{20}^{44}\text{E}$.
28. განსაზღვრეთ ელექტრონთა რიცხვი შემდეგ იონებში:
ა) Na^+ ; ბ) Cl^- ; გ) Mg^{2+} ; დ) S^{2-} ; ე) F^- ; ვ) Ca^{2+} ; ზ) O^{2-} ; თ) Li^+ .
29. მოცემულია ატომთა ელექტრონული ფორმულები. შეუსაბამეთ მათ ატომის სიმბოლო.
ა) $1s^2 2s^2 2p^2$; ბ) $1s^2 2s^2 2p^5$; გ) $1s^2 2s^2 2p^6 3s^2$;
დ) $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^3$; ე) $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^3 4s^2$.
30. რომელ იონებს შეიძლება შეესაბამებოდეს მოცემული ელექტრონული ფორმულები?
ა) $1s^2$; ბ) $1s^2 2s^2 2p^6$; გ) $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6$.

თავი 2.

ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი



პერიოდულობის კანონი

ატომის აღნაგობის შესწავლამ პერიოდულობის კანონსა და პერიოდულობის ცხრილს ახალი შინაარსი შესძინა. აღმოჩნდა, რომ ელემენტის ქიმიური თვისებები დამოკიდებულია ატომში პროტონების რაოდენობაზე და არა ატომის მასაზე. ამიტომ შეიცვალა ელემენტის განმარტება – ქიმიური ელემენტი ეწოდება ერთნაირი ატომბირთვის მუხტის ანუ ერთნაირი რაოდენობის პროტონების მქონე ატომთა ერთობლიობას. შესაბამისად, შეიცვალა პერიოდულობის კანონის ფორმულირებაც: **ელემენტების და მათი ნაერთების თვისებები პერიოდულ დამოკიდებულებაშია ატომბირთვის მუხტის სიდიდესთან ანუ ატომში პროტონების რაოდენობასთან.**

აღრინდელ პერიოდულობის ცხრილში ელემენტები ატომური მასის ზრდის მიხედვით იყო დალაგებული, თუმცა ეს პრინციპი ზოგიერთ შემთხვევაში ირღვეოდა. მაგალითად, არგონი, რომლის ატომური მასაც მეტია კალიუმის მასაზე ($A_r(\text{Ar})=40$, $A_r(\text{K})=39$), ცხრილში კალიუმზე წინაა. ატომბირთვის შედგენილობის შესწავლამ აჩვენა, რომ არგონის ბირთვში 18 პროტონია ($Z=18$), ხოლო კალიუმის ბირთვში – 19 ($Z=19$), ამიტომ კალიუმი მართლაც არგონის შემდეგ უნდა მდებარეობდეს.

ატომის აღნაგობის შესწავლამ ახსნა ელემენტთა თვისებების პერიოდული ცვლილების მიზეზიც:

პერიოდებში ელემენტთა ატომების სავალენტო შრეზე ელექტრონების რაოდენობის პერიოდული ცვლილება იწვევს ელემენტთა და მათ ნაერთთა თვისებების პერიოდულ ცვლილებას.

ეს კანონზომიერება შემდეგნაირად ვლინდება – ატომის გარე შრეზე ელექტრონთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, ყოველ პერიოდში:

- ელემენტთა მეტალური თვისებები თანდათან სუსტდება და არამეტალურში გადადის;
- ელემენტთა ოქსიდებში ვალენტობა I-დან VII-მდე იზრდება;
- ელემენტთა ოქსიდების ფუძე თვისებები სუსტდება, ხოლო მჟავური – ძლიერდება;
- ელემენტთა მიერ წარმოქმნილი ფუძეების თვისებები სუსტდება, ხოლო ჟანგბადიანი მჟავებისა – ძლიერდება.

პერიოდულობის ცხრილში ერთი და იმავე ჯგუფის ელემენტებს მსგავსი თვისებები აქვს, რადგანაც მათ გარე სავალენტო შრეზე ელექტრონების ერთნაირი რიცხვი აქვს. მაგალითად, ტუტე მეტალებს გარე ელექტრონულ შრეზე აქვს 1 ელექტრონი, მეორე ჯგუფის ელემენტებს – 2, მე-13-18 ჯგუფების ელემენტებს შესაბამისად 3-დან 8-მდე. პერიოდში ელექტრონების რიცხვის ზრდა განაპირობებს თვისებების პერიოდულ ცვლილებას.


მაგალითისათვის განვიხილოთ მე-3 პერიოდის ელემენტებისა და მათი ნაერთების ფორმები და თვისებები (ცხრილი 2.1).

თავი 2. ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი


ცხრილი 2.1. მე-3 პერიოდის ელემენტებისა და მათი ნაერთების (ოქსიდები, შესაბამისი ფუძეები და მჟავები) ფორმებისა და თვისებების შედარება.

მე-3 პერიოდის ელემენტები								
ელემენტი	Na	Mg	Al	Si	P	S	Cl	Ar
ელემენტის თვისება	მეტალი	მეტალი	მეტალი	მეტალოიდი	არამეტალი	არამეტალი	არამეტალი	არამეტალი
უმაღლესი ოქსიდი	Na ₂ O	MgO	Al ₂ O ₃	SiO ₂	P ₂ O ₅	SO ₃	Cl ₂ O ₇	-
ოქსიდის ბუნება	ფუძე ოქსიდი	ფუძე ოქსიდი	ამფოტერული ოქსიდი	მჟავა ოქსიდი	მჟავა ოქსიდი	მჟავა ოქსიდი	მჟავა ოქსიდი	-
ფუძე	NaOH	Mg(OH) ₂	Al(OH) ₃	-	-	-	-	-
ჟანგბადიანი მჟავა	-	-	HAlO ₂	H ₂ SiO ₃	H ₃ PO ₄	H ₂ SO ₄	HClO ₄	-
ფუძე-მჟავური ბუნება	ძლიერი ფუძე	ფუძე	ამფოტერული	სუსტი მჟავა	საშუალო მჟავა	ძლიერი მჟავა	ძლიერი მჟავა	-


1-ლი ჯგუფის ელემენტები, რომელთა გარე ელექტრონულ შრეზე თითო ელექტრონია, ძალიან აქტიური მეტალებია და წარმოქმნიან ფუძე ბუნების ოქსიდებს, რომელთა წყალთან ურთიერთქმედებისას შესაბამისი ტუტეები მიიღება. მაგალითად:



მე-2 ჯგუფის ელემენტების, მაგნიუმისა და კალციუმის ქიმიური აქტიურობა ნაკლებია, ვიდრე ტუტე მეტალებისა. შესუსტებულია მათი ოქსიდების ფუძე თვისებებიც – MgO წყალთან მხოლოდ მაღალ ტემპერატურაზე ურთიერთქმედებს და მისი ჰიდროქსიდი უხსნადია:









ხოლო CaO წყალში გახსნისას მცირედ ხსნად ტუტეს წარმოქმნის:




მე-3 ჯგუფის ელემენტები – ალუმინი და გალიუმი ამფოტერულ თვისებებს ავლენს – ეს მეტალები, მათი ოქსიდები და ჰიდროქსიდები რეაქციაში შედის როგორც მჟავასთან, ისე ტუტესთან:

თავი 2. ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი





ანალოგიური რეაქციები ახასიათებს გალიუმსა და მის ნაერთებს.

მე-14 ჯგუფის ელემენტები – სილიციუმი და გერმანიუმი – მეტალოიდებია და მათ შეესაბამება ოქსიდები SiO_2 და GeO_2 . ისინი უკვე მჟავა თვისებებს ავლენს, რაც ტუტესთან ურთიერთქმედებისას მარილის წარმოქმნაში გამოიხატება:




სილიციუმისა და გერმანიუმის ოქსიდებს შეესაბამება სუსტი მჟავები (H_2SiO_3 და H_2GeO_3), რომლებიც წყალში უხსნადია.

რაც შეეხება მე-15 ჯგუფის ელემენტებს, ფოსფორი არამეტალია, დარიშხანი კი – მეტალოიდი. ისინი ერთნაირი შედგენილობის ოქსიდებს წარმოქმნიან – P_2O_5 , As_2O_5 , რომლებსაც მსგავსი შედგენილობის მჟავები შეესაბამება:





შემდეგი ჯგუფის ელემენტი – გოგირდი არამეტალია, მისი უმაღლესი ოქსიდია – SO_3 . ის მჟავა ოქსიდია და მისი წყალში გახსნით მიიღება გოგირდმჟავა:



ანალოგიურია სელენიც, უმაღლესი ოქსიდით – SeO_3 , რომლის წყალში გახსნით მიიღება სელენმჟავა.

მე-17 ჯგუფის ელემენტები, ქლორი და ბრომი, არამეტალებია, მათი უმაღლესი ოქსიდების ფორმულებია Cl_2O_7 და Br_2O_7 , რომელთაც შეესაბამება მჟავები HClO_4 და HBrO_4 .

პერიოდში, რიგობრივი ნომრის ზრდასთან ერთად, არამეტალური თვისებების გაძლიერება განაპირობებს ჟანგბადიანი მჟავების სიძლიერის ზრდას. ეს კანონზომიერება ჩვენ მიერ განხილულ ორივე პერიოდში მეორდება:



მჟავას სიძლიერე იზრდება



კითხვები და დავალებები:

- რატომ არის პერიოდულობის ცხრილში ტელური იოდის წინ, მაშინ როდესაც ტელურის ფარდობითი ატომური მასა იოდისაზე მეტია? გაეცით დასაბუთებული პასუხი.
კიდევ რომელი ელემენტების განლაგებაშია ასეთივე შემთხვევა?
- შეადგინეთ კალიუმის, ლითიუმისა და რუბიდიუმის ოქსიდების წყალთან ურთიერთქმედების რეაქციათა ტოლობები.
- შეადგინეთ ბარიუმისა და სტრონციუმის ოქსიდების წყალთან ურთიერთქმედების რეაქციათა ტოლობები.
- შეადგინეთ გალიუმის, მისი ოქსიდისა და ჰიდროქსიდის ურთიერთქმედების რეაქციები:
ა) ნატრიუმის ტუტესთან;
ბ) გოგირდმჟავასთან.
- შეადგინეთ შემდეგი ელემენტების უმაღლესი ოქსიდებისა და მათი შესაბამისი მჟავების ფორმულები:
ა) ინდიუმი; ბ) კალა; გ) სტიბიუმი; დ) ტელური.
- გადახაზეთ ცხრილი სამუშაო რვეულში და შეავსეთ ცარიელი უჯრები. ცხრილი 2.1-ის მიხედვით იმსჯელეთ ნივთიერებათა თვისებების ცვლილებების კანონზომიერებაზე.

მე-4 პერიოდის ელემენტები

ელემენტი	K	Ca	Ga	Ge	As	Se	Br	Kr
ელემენტის თვისება	მეტალი	მეტალი	მეტალი	მეტალოიდი	არამეტალი	არამეტალი	არამეტალი	არამეტალი
უმაღლესი ოქსიდი								
ოქსიდის ბუნება								
ფუძე								
ჟანგბადიანი მჟავა								
ფუძემჟავური ბუნება								

2.2

ელემენტთა განაწილება ბლოკებში

სავალენტო ელექტრონების ორბიტალებზე განაწილების მიხედვით ელემენტები იყოფა s-, p-, d- და f-ბლოკის ელემენტებად (ნახ. 2.1). ბლოკის სახელწოდება იმ ქვედონის სახელწოდებიდან გამომდინარეობს, რომელიც ბოლოს ივსება.

ჯგუფი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18																															
	s-ბლოკი		d-ბლოკი										p-ბლოკი																																				
პერიოდი	1	H																	He																														
2	Li	Be											B	C	N	O	F	Ne																															
3	Na	Mg											Al	Si	P	S	Cl	Ar																															
4	K	Ca	Sc	Ti	V	Cr	Mn	Fe	Co	Ni	Cu	Zn	Ga	Ge	As	Se	Br	Kr																															
5	Rb	Sr	Y	Zr	Nb	Mo	Tc	Ru	Rh	Pd	Ag	Cd	In	Sn	Sb	Te	I	Xe																															
6	Cs	Ba		Hf	Ta	W	Re	Os	Ir	Pt	Au	Hg	Tl	Pb	Bi	Po	At	Rn																															
7	Fr	Ra		Rf	Db	Sg	Bh	Hs	Mt	Ds	Rg	Cn	Nh	Fl	Mc	Lv	Ts	Og																															
			<table><tr><td>La</td><td>Ce</td><td>Pr</td><td>Nd</td><td>Pm</td><td>Sm</td><td>Eu</td><td>Gd</td><td>Tb</td><td>Dy</td><td>Ho</td><td>Er</td><td>Tm</td><td>Yb</td><td>Lu</td></tr><tr><td>Ac</td><td>Th</td><td>Pa</td><td>U</td><td>Np</td><td>Pu</td><td>Am</td><td>Cm</td><td>Bk</td><td>Cf</td><td>Es</td><td>Fm</td><td>Md</td><td>No</td><td>Lr</td></tr></table>																La	Ce	Pr	Nd	Pm	Sm	Eu	Gd	Tb	Dy	Ho	Er	Tm	Yb	Lu	Ac	Th	Pa	U	Np	Pu	Am	Cm	Bk	Cf	Es	Fm	Md	No	Lr	f-ბლოკი
La	Ce	Pr	Nd	Pm	Sm	Eu	Gd	Tb	Dy	Ho	Er	Tm	Yb	Lu																																			
Ac	Th	Pa	U	Np	Pu	Am	Cm	Bk	Cf	Es	Fm	Md	No	Lr																																			

ნახ. 2.1. ელემენტთა ბლოკები.

s-ბლოკი მოიცავს 1-ლ და მე-2 ჯგუფის ელემენტებს. 1-ლი ჯგუფის ელემენტებს გარე შრეზე აქვს 1-ელექტრონიანი s ორბიტალები; მათი ელექტრონული კონფიგურაციაა ns^1 , სადაც n გვიჩვენებს პერიოდის ნომერს. მე-2 ჯგუფის ელემენტების ელექტრონული კონფიგურაციაა ns^2 . ვინაიდან s ორბიტალებზე განლაგდება არა უმეტეს 2 ელექტრონისა, s-ბლოკი ელემენტთა მხოლოდ ორ ჯგუფს მოიცავს.

p-ბლოკი წარმოდგენილია ელემენტებით მე-13-დან მე-18 ჯგუფის ჩათვლით. ამ ელემენტებისათვის დამახასიათებელია ნაწილობრივ ან მთლიანად შევსებული p ორბიტალები. p-ბლოკის ელემენტები არ გვხვდება 1-ლ პერიოდში, ვინაიდან პირველი ენერგეტიკული დონე (ელექტრონული შრე) p ქვედონეს არ მოიცავს. ამიტომ p-ბლოკის ელემენტები მე-2 პერიოდიდან იწყება და მათ შორის პირველი ელემენტია ბორი.

p ორბიტალზე შეიძლება განლაგდეს მაქსიმუმ 6 ელექტრონი, შესაბამისად p-ბლოკი ელემენტთა ექვს ჯგუფს მოიცავს. მე-18 ჯგუფის ელემენტები (კეთილშობილი აირები) p-ბლოკის განსაკუთრებული წევრებია. მათი ატომები ქიმიურად ძალიან სტაბილურია და ისინი ნაერთებს თითქმის არ წარმოქმნიან – დღეისათვის მხოლოდ კრიპტონისა და ქსენონის ნაერთებია მიღებული. ჰელიუმს მხოლოდ სრულად შევსებული s ქვედონე აქვს, ხოლო დანარჩენ კეთილშობილ აირთა s და p ქვედონეები სრულად არის შევსებული, რაც განაპირობებს ამ ნივთიერებათა განსაკუთრებულ ქიმიურ მდგრადობას.

d-ბლოკი მოიცავს გარდამავალ მეტალებს და დღეისათვის ყველაზე დიდ ბლოკს წარმოადგენს. d-ბლოკის ელემენტთა ატომებში ელექტრონები ნაწილობრივ ან მთლიანად

თავი 2. ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი

ავსებს **d** ორბიტალებს. ხუთ **d** ორბიტალზე შეიძლება განთავსდეს მაქსიმუმ 10 ელექტრონი. შესაბამისად, **d**-ბლოკი პერიოდულობის ცხრილის ათ ჯგუფს (მე-3-დან მე-12 ჯგუფის ჩათვლით) მოიცავს.

f-ბლოკი ასევე გარდამავალი მეტალებისაგან შედგება. ამ ელემენტთა ატომებში ელექტრონები ნაწილობრივ ან სრულად ავსებს **4f** და **5f** ქვედონეებს. **f** ქვედონეზე 7 ორბიტალია, მათზე შეიძლება განლაგდეს მაქსიმუმ 14 ელექტრონი, ამიტომ ამ ბლოკში ელემენტთა 14 ჯგუფია გაერთიანებული. პერიოდულობის ცხრილის კომპაქტურად გამოსახვისათვის **f**-ბლოკის ელემენტები გამოტანილია ცხრილის ქვედა ნაწილში ლანთანოიდებისა (**La-Lu**) და აქტინოიდების (**Ac-Lr**) სახით (ნახ. 2.1).

როგორც ნახ. 2.1-დან ჩანს, პირველ პერიოდში მხოლოდ **s** ბლოკის 2 ელემენტია, მე-2 და მე-3 პერიოდში კი **s**- და **p**-ბლოკის 8-8 ელემენტი, ამ პერიოდებს **მცირე პერიოდებს** უწოდებენ; მე-4 და მე-5 პერიოდში განთავსებულია **s**-, **p**- და **d**-ბლოკის ელემენტები, ხოლო მე-6 და მე-7 პერიოდში შედის ოთხივე ბლოკის ელემენტები, ამიტომ მე-4-მე-7 პერიოდებს **გრძელი პერიოდები** ეწოდება.

მეტალების, მეტალოიდებისა და არამეტალების ბლოკებში განაწილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ **s**-ბლოკში ორი არამეტალია (**H, He**), დანარჩენი კი ტუტე და ტუტე მინათა მეტალებია; **p**-ბლოკი მოიცავს როგორც მეტალებს, ასევე მეტალოიდებსა და არამეტალებს. **d**-ბლოკი და **f**-ბლოკი კი მეტალებისაგან შედგება.

როგორც ნახ. 2.2-ზე ჩანს, ქიმიურ ელემენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი მოიცავს არამეტალებსა და მეტალოიდებს, უმრავლესობა კი მეტალებს წარმოადგენს.

მეტალური თვისებები მცირდება

მეტალოიდი

მეტალი

არამეტალი

მეტალური თვისებები იზრდება

Li	Be	d-ბლოკისა და f-ბლოკის ელემენტები		B	C	N	O	F	Ne
Na	Mg			Al	Si	P	S	Cl	Ar
K	Ca			Ga	Ge	As	Se	Br	Kr
Rb	Sr			In	Sn	Sb	Te	I	Xe
Cs	Ba			Tl	Pb	Bi	Po	At	Rn
Fr	Ra								

ნახ. 2.2. მეტალების, მეტალოიდებისა და არამეტალების განაწილება ელემენტთა ბლოკებში.



კითხვები და დავალებები:

- როგორ იცვლება მეტალური და არამეტალური თვისებები პერიოდებსა და ჯგუფებში? განიხილეთ რომელიმე ერთი ჯგუფისა და პერიოდის ელემენტების მაგალითზე.
- ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტებიდან რომელი ავლენს ყველაზე მეტად არამეტალურ თვისებებს? პასუხი დაასაბუთეთ.
 - B
 - Al
 - Ga
 - In
- ჩამოთვლილთაგან რომელს აქვს ყველაზე მეტად გამოხატული მეტალური თვისებები? პასუხი დაასაბუთეთ.
 - Br
 - Ge
 - Ca
 - Ga
- ცხრილში მოცემულია ინფორმაცია X, Y და Z ქიმიური ელემენტების შესახებ:

X – ელემენტის რიგობრივი ნომერია 82

Y – ელემენტის ელექტრონული შრეების აღნაგობაა $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 4s^2 3d^6$

Z – ელემენტის ელექტრონული ფორმულაა $[\text{Ne}]3s^2$

დაადგინეთ რომელი ელემენტებია X, Y და Z და შეავსეთ ცხრილი:


X ელ- ემენტის სიმბოლო	X უმაღლესი ჟანგბად- ნაერთის ფორმულა	Y ელ- ემენტის სიმბოლო	Y ელემენ- ტის წყალ- ბადნაერთის ფორმულა	Z ელ- ემენტის სიმბოლო	Z ელემენ- ტის ჰიდრო- ქსიდის ფორმულა

2.3

ატომთა მახასიათებლები და მათი პერიოდული ცვლა

როგორც ვიცით, ელემენტთა ატომები განსხვავდება პროტონების რიცხვით, რაც მათ მრავალფეროვან თვისებებს განაპირობებს. კიდევ რა მახასიათებლებით შეიძლება განვასხვავოთ ისინი?


თანამედროვე შეხედულებით, ატომს მკვეთრად გამოკვეთილი ფორმა არ აქვს, ამიტომ ატომური რადიუსის უშუალოდ განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა სხვადასხვა ფიზიკური მეთოდის საშუალებით შესაძლებელია მოლეკულაში ატომთა შორის მანძილის დადგენა. ამდენად, **ატომურ რადიუსად ითვლება ორ მეზობელ ატომბირთვს შორის მანძილის ნახევარი** (ნახ. 2.3).



ნახ. 2.3. ატომური რადიუსის დადგენა.

პერიოდში რიგობრივი ნომრის ზრდასთან ერთად ბირთვის მუხტი იზრდება, ხოლო ელექტრონული შრეების რაოდენობა უცვლელი რჩება. ამის გამო იზრდება მიზიდულობა სავალენტო ელექტრონებსა და ატომბირთვს შორის. შესაბამისად, პერიოდში მარცხნიდან მარჯვნივ ატომური რადიუსი მცირდება.


ჯგუფებში ზევიდან ქვევით ელექტრონული შრეების რაოდენობა იზრდება. ბუნებრივია, ამ მიმართულებით იზრდება ატომური რადიუსიც (ნახ. 2.4).



ნახ. 2.4. ატომური რადიუსის ცვლილება პერიოდულობის ცხრილში.


2.3.1. იონური რადიუსი

იონური რადიუსი ყოველთვის განსხვავდება შესაბამისი ატომის რადიუსისაგან. კატიონის (დადებითი იონის) რადიუსი მცირეა შესაბამისი ატომის რადიუსთან შედარებით (ნახ. 2.5).



ნახ. 2.5. ტუტე მეტალთა ატომური და იონური რადიუსები.

როგორც ვიცით, ატომში ელექტრონებისა და პროტონების რიცხვი ერთმანეთის ტოლია, ხოლო ელექტრონების დაკარგვის შემთხვევაში პროტონთა რიცხვი აჭარბებს ელექტრონთა რიცხვს, ამიტომ ელექტრონები უფრო ძლიერ მიიზიდება ატომბირთვის მიერ, რის გამოც ატომის რადიუსი შესაბამისი კატიონის რადიუსს აღემატება (ნახ. 2.6).








ნახ. 2.6. ატომებისა და კატიონების რადიუსთა შედარება.


რაც მეტია მუხტის მნიშვნელობა, მით უფრო მცირეა რადიუსი. ცხრილში 2.2 მოცემულია მე-3 პერიოდის ელემენტები, მათი იონური რადიუსი მუხტის ზრდასთან ერთად მცირდება, ვინაიდან პერიოდში მარცხნიდან მარჯვნივ პროტონთა რიცხვი იზრდება, ხოლო ელექტრონების რაოდენობა უცვლელი რჩება, შესაბამისად, იზრდება მიზიდულობის ძალა ატომბირთვსა და გარე შრის ელექტრონებს შორის. ამიტომ, რაც მეტია მუხტის მნიშვნელობა, უფრო მცირეა რადიუსი. ცხრილში 2.2 მოცემულ სამივე იონს ელექტრონების ერთი და იგივე რაოდენობა აქვს, ისინი ელექტრონული კონფიგურაციით ემსგავსება წინა პერიოდის ბოლოს მოთავსებულ კეთილშობილ აირს – ნეონს. ატომებს ან იონებს, რომელთაც ელექტრონების ერთნაირი, ხოლო პროტონების განსხვავებული რიცხვი აქვს, **იზოელექტრონული ნაწილაკები** ეწოდება.

თავი 2. ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი

ცხრილი 2.2. ნატრიუმის, მაგნიუმისა და ალუმინის ატომთა და კატიონთა რადიუსების შედარება.

		
 Na⁺	 Mg²⁺	 Al³⁺
11p 10e⁻	12p 10e⁻	13p 10e⁻
იონური რადიუსი მცირდება 		

ანიონის რადიუსი ყოველთვის მეტია შესაბამისი ატომის რადიუსზე (ნახ. 2.7). ამის მიზეზია გარე შრეზე არსებული და მიერთებული ელექტრონების ურთიერთგანზიდვა, რაც ზრდის რადიუსს.








ნახ. 2.7. ჰალოგენების ატომური და იონური რადიუსების შედარება.


თავი 2. ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი

ანიონების შემთხვევაშიც პერიოდში ატომბირთვის მუხტის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად იონური რადიუსი მცირდება (ცხრილი 2.3).

ცხრილი 2.3. ფოსფორის, გოგირდისა და ქლორის ატომთა და ანიონთა რადიუსების შედარება.

		
		
15p 18e⁻	16p 18e⁻	17p 18e⁻
		

ამრიგად, პერიოდში მარცხნიდან მარჯვნივ იონური რადიუსის ცვლილება შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს (ნახ. 2.8):




ნახ. 2.8. იონური რადიუსის ცვლილება პერიოდულობის ცხრილში.

თავი 2. ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი


ქიმიური ბმის წარმოქმნისა და მისი ბუნების უკეთ გააზრებისთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ატომთა მიერ ელექტრონის გაცემისა და მიერთების უნარის მახასიათებლები – იონიზაცია და ელექტრონისადმი სწრაფვა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

2.3.2. იონიზაციის ენერგია

იონიზაციის ენერგია ეწოდება იმ მინიმალური რაოდენობის ენერგიას, რომელიც საჭიროა აირად მდგომარეობაში ატომიდან ელექტრონის მოსაცილებლად. იონიზაციის ტოლობა შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:



სადაც ატომი აირად მდგომარეობაშია. იონიზაციის ენერგიის ერთეულად ჯოულს (ჯ) ან ელექტრონვოლტს (ევ) იყენებენ. ერთი ელექტრონის მოსაცილებლად დახარჯულ ენერგიას იონიზაციის პირველი პოტენციალი (ენერგია) ეწოდება. იონიზაციის შემდგომ (მეორე, მესამე და ა. შ.) პოტენციალებს უფრო მაღალი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პირველ პოტენციალს, რადგანაც ელექტრონების მოცილებისას ატომბირთვის მუხტსა და ელექტრონებს შორის მიზიდულობა იმატებს. მაგალითად, კალიუმს აქვს 19 ელექტრონი, შესაბამისად, ექნება იონიზაციის 19 ენერგია, ყოველი მომდევნო იონიზაციის ენერგია მეტია წინა იონიზაციის ენერგიაზე (ნახ. 2.9).




ნახ. 2.9. კალიუმის იონიზაციის ენერგიები.

პერიოდებში მარცხნიდან მარჯვნივ იონიზაციის ენერგია იმატებს ატომბირთვის მუხტის ზრდის გამო. ყველაზე დაბალი იონიზაციის ენერგია აქვს ტუტე მეტალებს, ყველაზე მაღალი – კეთილშობილ აირებს.

ჯგუფებში კი იონიზაციის ენერგია ზევიდან ქვევით მცირდება ატომის რადიუსის ზრდის გამო.

2.3.3. ელექტრონისადმი სწრაფვა

ელექტრონისადმი სწრაფვა არის ის ენერგია, რომელიც გამოიყოფა აირად მდგომარეობაში ატომის მიერ ელექტრონის მიერთების დროს. ელექტრონისადმი სწრაფვა ატომის მიერ ელექტრონის მიერთების უნარის საზომია. ელექტრონის მიერთების ტოლობა შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:



ელექტრონისადმი სწრაფვის ერთეული, ისევე როგორც იონიზაციის ენერგიისა, არის ჯოული ან ელექტრონვოლტი. პერიოდებში ელექტრონისადმი სწრაფვა მარცხნიდან მარჯვნივ იზრდება და მაქსიმალურ მნიშვნელობას ჰალოგენებში აღწევს. კეთილშობილ აირებს ელექტრონისადმი სწრაფვა არ ახასიათებს, რადგან მათი ელექტრონული კონფიგურაცია დასრულებულია.

ჯგუფებში ელექტრონისადმი სწრაფვა მცირდება ზევიდან ქვევით ატომის რადიუსის ზრდასთან ერთად.

2.3.4. ელექტროუარყოფითობა

ელექტროუარყოფითობა არის ელემენტის უნარი – მიიზიდოს ქიმიური ბმის წარმომქმნელი საზიარო ელექტრონული წყვილი. ბინარულ კოვალენტურ ნაერთში საზიარო ელექტრონული წყვილის მიზიდულობა თითოეული ატომის მიერ განსხვავებულია. მიზიდულობის სიძლიერე კი დამოკიდებულია ატომის ზომასა და ატომბირთვის მუხტზე. მაგალითად, ფთორწყალბადის მოლეკულაში საზიარო ელექტრონული წყვილი უფრო მეტად მიიზიდება ფთორის ატომის მიერ, მაშინ როცა ფთორის მოლეკულაში ქიმიურ ბმაში მონაწილე ელექტრონული წყვილი ატომებს შორის თანაბრადაა განაწილებული (ნახ. 2.10).



ნახ. 2.10. საზიარო ელექტრონული წყვილის გადანაწილება ფთორწყალბადისა და ფთორის მოლეკულებში.

ელექტროუარყოფითობა არ არის ფიზიკური სიდიდე, ამდენად, მას ერთეული არ აქვს. ელექტროუარყოფითობის ცნება პირველად 1932 წელს შემოიტანა ლ. პოლინგმა (ნახ.

თავი 2. ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი

2.12). მან შეადგინა ელემენტთა ელექტროუარყოფითობის ფარდობითი მნიშვნელობების ცხრილი (ნახ. 2.11).

1 H 2.2																
3 Li 1.0	4 Be 1.6															
11 Na 0.9	12 Mg 1.3															
19 K 0.8	20 Ca 1.0	21 Sc 1.4	22 Ti 1.5	23 V 1.6	24 Cr 1.7	25 Mn 1.6	26 Fe 1.8	27 Co 1.9	28 Ni 1.9	29 Cu 1.9	30 Zn 1.7	31 Ga 1.8	32 Ge 2.0	33 As 2.2	34 Se 2.6	35 Br 3.0
37 Rb 0.8	38 Sr 1.0	39 Y 1.2	40 Zr 1.3	41 Nb 1.6	42 Mo 2.2	43 Tc 2.1	44 Ru 2.2	45 Rh 2.3	46 Pd 2.2	47 Ag 1.9	48 Cd 1.7	49 In 1.8	50 Sn 2.0	51 Sb 2.1	52 Te 2.1	53 I 2.7
55 Cs 0.8	56 Ba 0.9	57 La* 1.1	72 Hf 1.3	73 Ta 1.5	74 W 1.7	75 Re 1.9	76 Os 2.2	77 Ir 2.2	78 Pt 2.2	79 Au 2.4	80 Hg 1.9	81 Tl 1.8	82 Pb 1.8	83 Bi 1.9	84 Po 2.0	85 At 2.2
87 Fr 0.7	88 Ra 0.9	89 Ac** 1.1														

< 1.0

1.0-1.4

1.5-1.9

< 1.0

1.0-1.4


1.5-1.9

ნახ. 2.11. ელემენტთა ელექტროუარყოფითობის მნიშვნელობები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, პერიოდებში მარცხნიდან მარჯვნივ ელექტროუარყოფითობა იზრდება, ვინაიდან იზრდება ატომბირთვის მუხტი და ის უფრო მეტად იზიდავს საზიარო ელექტრონულ წყვილს (იხ. ნახ. 2.10).


ჯგუფებში ელექტროუარყოფითობა ზევიდან ქვევით მცირდება, რადგანაც იზრდება ელექტრონული შრეების რიცხვი და საზიარო ელექტრონული წყვილის მიზიდვის უნარი იკლებს. ამდენად, ყველაზე ელექტროუარყოფითი ელემენტია ფთორი, ხოლო ყველაზე ნაკლებად ელექტროუარყოფითი – ფრანციუმი. ელექტროუარყოფითობა არაა დამახასიათებელი კეთილშობილი აირებისთვის, ვინაიდან ისინი ნაერთებს არ წარმოქმნიან.

ქიმიურ ელემენტთა თვისებების ცვლილება პერიოდულობის ცხრილში გაერთიანებულად შეიძლება ასე წარმოვადგინოთ (ნახ. 2.13):



ნახ. 2.12. ლაინუს პოლინგი (Linus Pauling, 1901-1994)

თავი 2. ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი



ნახ. 2.13. ელემენტთა მახასიათებლების ცვლილება პერიოდულობის ცხრილში. ისრის მიმართულება გვიჩვენებს თვისებების გაძლიერებას.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ელემენტის რიგობრივი ნომრის ზრდასთან ერთად, პერიოდებში:

- მეტალური თვისებები სუსტდება, ხოლო არამეტალური – ძლიერდება;
- ატომის რადიუსი მცირდება;
- იონიზაციის ენერგია, ელექტრონისადმი სწრაფვა და ელექტროუარყოფითობა – იზრდება;

ხოლო ჯგუფებში, ზევიდან ქვევით:

- მეტალური თვისებები ძლიერდება, ხოლო არამეტალური – სუსტდება;
- ატომის რადიუსი იზრდება;
- იონიზაციის ენერგია, ელექტრონისადმი სწრაფვა და ელექტროუარყოფითობა მცირდება.



კითხვები და დავალებები:

უპასუხეთ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება:

- დაალაგეთ მოცემული ნაწილაკები რადიუსის ზრდის მიხედვით:
ა) Sr, Be, Ca, Ba ; ბ) Cl^- , P^{3-} , S^{2-} ; გ) P, Si, Na, Cl ; დ) O^{2-} , F^- , N^{3-} .
- დაალაგეთ მოცემული ელემენტები ელექტროუარყოფითობის კლების მიხედვით:
ა) F, B, Li, C, O ; ბ) P, N, Bi, As, Sb.
- დაალაგეთ მოცემული ელემენტები ელექტრონისადმი სწრაფვის კლების მიხედვით:
ა) Na, S, Al, Cl, Si ; ბ) Br, F, Cl, At, I.
- დაალაგეთ მოცემული ელემენტები იონიზაციის ენერგიის ზრდის მიხედვით:
ა) K, Li, Na, Rb ; ბ) S, Si, Cl, Mg.
- ფრანციუმი რადიოაქტიური ელემენტია, რომლის ნახევრად დაშლის პერიოდი 22 წთ-ია. ამის გამო, მისი თვისებების შესწავლა რთულია. ნახ. 2.5-ის მიხედვით, ივარაუდეთ მისი ატომური და იონური რადიუსების შესაძლო მნიშვნელობები.



ექსპერიმენტი

პერიოდულობის ცხრილში ქიმიური ელემენტები განლაგებულია გარკვეული კანონ-ზომიერებით, კერძოდ, პერიოდებსა და ჯგუფებში პერიოდულად იცვლება ელემენტთა როგორც ფიზიკური, ასევე ქიმიური თვისებები. ჩაატარეთ ექსპერიმენტი და შედეგების ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვას: როგორ იცვლება მეტალთა ფიზიკური და ქიმიური თვისებები პერიოდსა და ჯგუფებში?

ექსპერიმენტისთვის დაგჭირდებათ:

რეაქტივები:

- ტუტე მეტალები (ლითიუმი, ნატრიუმი)
- ტუტემინა მეტალები (მაგნიუმი, კალციუმი)
- ფენოლფთალეინი (1%-იანი ხსნარის სახით)

ქიმიური ჭურჭელი და ხელსაწყოები:

- პეტრის ჯამი
- ფილტრის ქაღალდი
- საკრისტალიზაციო ჯამი
- საკანცელარიო დანა
- პინცეტი

უსაფრთხოება:

ტუტე მეტალების წყალთან ურთიერთქმედებისას გამოიყოფა წყალბადი - ადვილად აალებადი აირი, ამიტომ საშიშია ცდებში მეტალთა დიდი ზომის ნაჭრების გამოყენება. ექსპერიმენტის ჩატარებისას ჩაიცვით ხელთათმანები და გაიკეთეთ სათვალე. გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია ექსპერიმენტის ნარჩენების უტილიზაცია სათანადო წესების დაცვით.

ექსპერიმენტის მსვლელობა:

1. საკრისტალიზაციო ჯამში ჩაასხით დაახლოებით 400-500 მლ წყალი და დაამატეთ რამდენიმე წვეთი ფენოლფთალეინის ხსნარი.
2. როგორც იცით, ტუტე მეტალები ინახება ნავთში, ამიტომ ფრთხილად მოხსენით თავსახური ჭურჭელს, რომელშიც მოთავსებულია ლითიუმი; ამოიღეთ პინცეტის საშუალებით მცირე ზომის ნაჭერი, მოათავსეთ ფილტრის ქაღალდზე და შეამშრალეთ.
3. დააკვირდით ზედაპირის შეფერილობას.
4. საკანცელარიო დანის საშუალებით ჩამოჭერით დაახლოებით ხორბლის მარცვლის ზომის ნაჭერი. დააკვირდით ჩამოჭრილი მეტალის ზედაპირს.
5. პინცეტის საშუალებით ჩააგდეთ წყალში ლითიუმის ნაჭერი და დააკვირდით რეაქციის მიმდინარეობას, აირის გამოყოფის ინტენსივობას და ხსნარის ფერის ცვლილებას.
6. ჩაინიშნეთ დაკვირვების შედეგები.
7. გაიმეორეთ საფეხურები 1-6 ნატრიუმის, მაგნიუმის და კალციუმის გამოყენებით.

თავი 2. ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი

ექსპერიმენტის ანალიზი:

1. შეადარეთ ერთმანეთს ლითიუმისა და ნატრიუმის აქტიურობა.
2. შეადარეთ ერთმანეთს მაგნიუმისა და კალციუმის აქტიურობა.
3. შეადარეთ ერთმანეთს ნატრიუმისა და მაგნიუმის აქტიურობა.
4. რომელი მეტალი (ლითიუმი, ნატრიუმი, კალციუმი თუ მაგნიუმი) იჭრება დანით უფრო ადვილად? ყველაზე რბილი მეტალი შეაფასეთ 1-ით, ყველაზე მაგარი კი - 4-ით.
5. რომელი ტიპის რეაქციას მიეკუთვნება მეტალების წყალთან ურთიერთქმედება? შეადგინეთ შესაბამის რეაქციათა ტოლობები.
6. რა დასკვნას გამოიტანთ მეტალთა რეაქციისუნარიანობაზე მათი წყალთან ურთიერთქმედების მიხედვით? შეადგინეთ შესაბამის რეაქციათა ტოლობები.

ცხრილი გადახაზეთ სამუშაო რვეულში და ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე შეავსეთ ცარიელი უჯრები:

	ფერი	სიბილუ	რეაქციისუნარიანობა	წყალთან რეაქციის ტოლობა
ლითიუმი				
ნატრიუმი				
მაგნიუმი				
კალციუმი				

გაანალიზეთ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები და ივარაუდეთ, როგორი ქიმიური აქტიურობა ექნება:

- კალიუმს, ლითიუმისა და ნატრიუმის თვისებების გათვალისწინებით?
 - ბარიუმს, მაგნიუმისა და კალციუმის თვისებების გათვალისწინებით?
 - ალუმინს, ნატრიუმისა და მაგნიუმის თვისებების გათვალისწინებით?
- დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.



შემაჯამებელი სავარჯიშოები

- ელემენტთა რომელი მწკრივია დალაგებული ატომთა იონიზაციის ენერგიის ზრდის მიხედვით? პასუხი დაასაბუთეთ.
ა) F, Cl, Br; ბ) Na, Cl, Al; გ) Na, K, Cs; დ) As, Se, Br.
- ელემენტთა რომელი მწკრივია დალაგებული ატომური რადიუსის შემცირების მიხედვით? პასუხი დაასაბუთეთ.
ა) Al, Si, Mg; ბ) Cl, I, Br; გ) Sr, Sb, I; დ) P, Si, Na.
- არამეტალური თვისებები პერიოდულობის ცხრილში ძლიერდება:
ა) პერიოდში მარცხნიდან მარჯვნივ და ჯგუფში ქვევიდან ზევით;
ბ) პერიოდში მარჯვნიდან მარცხნივ და ჯგუფში ქვევიდან ზევით;
გ) პერიოდში მარცხნიდან მარჯვნივ და ჯგუფში ზევიდან ქვევით;
დ) პერიოდში მარჯვნიდან მარცხნივ და ჯგუფში ზევიდან ქვევით.
- მეტალური თვისებები პერიოდულობის ცხრილში:
ა) სუსტდება პერიოდში მარცხნიდან მარჯვნივ და ძლიერდება ჯგუფში ზევიდან ქვევით;
ბ) ძლიერდება პერიოდში მარცხნიდან მარჯვნივ და სუსტდება ჯგუფში ზევიდან ქვევით;
გ) სუსტდება პერიოდში მარჯვნიდან მარცხნივ და ძლიერდება ჯგუფში ქვევიდან ზევით;
დ) ძლიერდება პერიოდში მარჯვნიდან მარცხნივ და სუსტდება ჯგუფში ქვევიდან ზევით.
- მოცემულია პერიოდულობის ცხრილის ფრაგმენტი:

7 N აზოტი 14.00	8 O ჟანგბადი 15.99
15 P ფოსფორი 30.97	16 S ბოზირი 32.06

მოცემულთაგან რომელი ელემენტის ელექტროუარყოფითობაა ყველაზე მეტი?

ა) აზოტი; ბ) ჟანგბადი; გ) ფოსფორი; დ) გოგირდი.

- მოცემულია პერიოდულობის ცხრილის ფრაგმენტი:

6 C ნახშირბადი 12.01	7 N აზოტი 14.00
14 Si სილიციუმი 28.08	15 P ფოსფორი 30.97

თავი 2. ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი

მოცემულთაგან რომელი ელემენტის ელექტროუარყოფითობაა ყველაზე ნაკლები?

ა) ნახშირბადი; ბ) აზოტი; გ) სილიციუმი; დ) ფოსფორი.

7. დანერეთ იმ ელემენტის სიმბოლო, რომელიც:

ა) მდებარეობს მეორე პერიოდსა და მე-14 ჯგუფში;

ბ) მდებარეობს მესამე პერიოდსა და მე-15 ჯგუფში;

გ) პირველ პერიოდშია და კეთილშობილ აირს წარმოადგენს;

დ) მესამე პერიოდში მდებარე ტუტე მეტალია;

ე) რიგით მეცამეტეა;

ვ) მეხუთე პერიოდში მდებარე ჰალოგენია.

8. მოცემულ წყვილებში შეარჩიეთ უფრო დიდი ატომური რადიუსის მქონე ელემენტი.

ა) Na თუ Cl; ბ) Na თუ Rb; გ) Na თუ Mg; დ) Rb თუ I.

თითოეულ შემთხვევაში დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

9. წყვილებში შეარჩიეთ ელემენტი, რომლის ატომს იონიზაციის უფრო დიდი ენერგია აქვს:

ა) Br თუ I; ბ) Mg თუ Sr; გ) Si თუ P; დ) I თუ Xe.

თითოეულ შემთხვევაში დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

10. შეადარეთ ერთმანეთს ორი ელემენტი: ნატრიუმი და სილიციუმი. რომელ მათგანს აქვს უფრო დიდი რადიუსი? მეტად გამოხატული მეტალური თვისებები?

11. შეადარეთ ერთმანეთს ორი ელემენტი: სტრონციუმი და სტიბიუმი. რომელ მათგანს აქვს უფრო დიდი რადიუსი? მეტად გამოხატული მეტალური თვისებები?

12. ჩამოთვლილი ელემენტების – Na, Mg, Si, S, Cl და Ar – შესახებ უპასუხეთ კითხვებს:

ა) რომელ მათგანს აქვს უდიდესი ატომური რადიუსი?

ბ) რომელია მათ შორის ჰალოგენი?

გ) რომელ მათგანს აქვს ელექტრონების განაწილება ენერგეტიკულ შრეებზე: 2, 8, 4?

დ) რომელ მათგანს აქვს იონიზაციის უდიდესი ენერგია?

ე) რომელი მათგანია მე-16 ჯგუფის ელემენტი?

ვ) რომელია მათ შორის ყველაზე ძლიერი მეტალი?

ზ) რომელ მათგანს აქვს ორი სავალენტო ელექტრონი?

13. მოცემულია ელემენტთა ატომების ელექტრონული კონფიგურაციები:

I. $1s^2 2s^2 2p^6 3s^2$ II. $1s^2 2s^2 2p^6 3s^1$ III. $1s^2 2s^2 2p^6$

IV. $1s^2 2s^2 2p^4$ V. $1s^2 2s^2 2p^3$ VI. $1s^2 2s^2 2p^1$

უპასუხეთ კითხვებს:

ა) რომელი მათგანი წარმოქმნის უარყოფით იონს?

ბ) რომელი მათგანის იონიზაციის ენერგიაა ყველაზე დაბალი?

თავი 2. ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი

- გ) რომელს აქვს ყველაზე ძლიერად გამოსხატული მეტალური თვისებები?
 დ) რომელს აქვს ყველაზე მეტი გაუწყვილებელი ელექტრონი?
 ე) რომელი ელემენტი შეუერთდება ჟანგბადს 1:1 რაოდენობრივი თანაფარდობით?
 ვ) ივარაუდეთ II და V ელემენტთა ატომებით წარმოქმნილი ნაერთის ფორმულა.
 ზ) ივარაუდეთ I და V ელემენტთა ატომებით წარმოქმნილი ნაერთის ფორმულა.
 თ) დააღაგეთ ეს ელემენტები იონიზაციის ენერგიის ზრდის მიხედვით.

14. ცხრილში მოცემულია ნაწილაკებში პროტონების, ნეიტრონებისა და ელექტრონების რაოდენობა:

ელემენტი	პროტონი	ნეიტრონი	ელექტრონი
A	27	30	25
B	17	18	18
C	35	44	35
D	20	20	20
E	35	46	36

დაადგინეთ:

- ა) თითოეული ნაწილაკის სიმბოლო და ელექტრონული ფორმულა.
 ბ) რომელი მათგანია ატომი?
 გ) რომელი მათგანია კატიონი და რომელი ანიონი?
 დ) მოცემლის ელემენტებიდან, რომელთა შორის დამყარდება იონური ბმა?
 ე) რომელი ელემენტის/ელემენტების შესაბამისი მარტივი ნივთიერება იქნება გამტარი?
15. მოცემული მტკიცებულებებიდან რომელია მართებული? პასუხი დაასაბუთეთ.
- ა) გერმანიუმის ატომური რადიუსი ნაკლებია სილიციუმისაზე, მაგრამ სილიციუმის იონიზაციის ენერგია მეტია.
 ბ) სელენს აქვს მეტი იონიზაციის ენერგია და ელექტროუარყოფითობა, ვიდრე გოგირდს.
 გ) სტიბიუმის იონიზაციის ენერგია და ელექტროუარყოფითობა უფრო მეტია, ვიდრე კალისა.
 დ) Cl^- იონის რადიუსი მეტია ქლორის ატომურ რადიუსზე.
 ე) Se^{2-} იონის რადიუსი ნაკლებია სელენის ატომურ რადიუსზე.
16. X ელემენტის იონიზაციის ენერგიაა 736 კჯ/მოლი, Y ელემენტისა – 1000 კჯ/მოლი. აღნიშნეთ, რომელი მათგანი უფრო მეტად ავლენს მეტალურ თვისებებს?
17. X ელემენტის ატომური რადიუსია 0.136 ნმ, Y ელემენტისა – 0.104 ნმ. აღნიშნეთ, რომელი მათგანი უფრო მეტად ავლენს მეტალურ თვისებებს?
18. X ელემენტის ელექტროუარყოფითობაა 1.3, Y ელემენტისა – 2.6. აღნიშნეთ,

თავი 2. ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი

რომელი მათგანი უფრო მეტად ავლენს მეტალურ თვისებებს?


19. ცხრილში მოცემულია ზოგიერთი ატომისა და იონის რადიუსები:

ელემენტი	ატომური რადიუსი (პმ)	იონური რადიუსი (პმ)
Na	186	98
Al	143	45
Cl	99	181
K	231	133

გაანალიზეთ მონაცემები და უპასუხეთ კითხვებს:

- ა) რატომაა ალუმინის ატომური რადიუსი უფრო ნაკლები, ვიდრე კალიუმისა?
- ბ) რატომ არის ალუმინის იონური რადიუსი უფრო მცირე, ვიდრე მისივე ატომისა; ხოლო ქლორის იონური რადიუსი მეტი, ვიდრე ქლორის ატომისა?
- გ) რატომაა კალიუმის იონური რადიუსი უფრო ნაკლები, ვიდრე ქლორისა?

თავი 3. ქიმიური ბმა



ქიმიური ბმის ტიპები

როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, ჰაერში არსებული მარტივი ნივთიერებებიდან – აზოტი, ჟანგბადი და წყალბადი ორატომიანი მოლეკულებია, ხოლო კეთილშობილი აირები ერთატომიანია. რა არის ამის მიზეზი?

ელემენტთა უმეტესობა, გარდა კეთილშობილი აირებისა, ბუნებაში ნაერთების სახით გვხვდება. კეთილშობილი აირების ქიმიური სტაბილურობა კი განპირობებულია მათი ელექტრონული კონფიგურაციით – გარე შრეზე 8 სავალენტო ელექტრონის არსებობით (გარდა ჰელიუმისა, რომელსაც გარე შრეზე 2 ელექტრონი აქვს). 8-ელექტრონიან გარე შრეს **დასრულებული შრე** ეწოდება.

ატომის გარე შრის კონფიგურაციის გამოსახვისათვის იყენებენ ლუისის ელექტრონულ ფორმულებს, სადაც სავალენტო ელექტრონები გამოსახულია წერტილების საშუალებით (ნახ. 3.1).

H•							He:
Li•	Be•	•B•	•C•	•N•	•O•	•F•	•Ne•
Na•	Mg•	•Al•	•Si•	•P•	•S•	•Cl•	•Ar•
K•	Ca•						

ნახ. 3.1. პირველი ოცი ელემენტის ლუისის ელექტრონული ფორმულა.

ატომის გარე შრეზე ელექტრონების რაოდენობა თუ მაქსიმალურზე ნაკლებია, ასეთ შრეს დაუსრულებელი შრე ეწოდება. ყოველი ატომი, რომელსაც დაუსრულებელი გარე შრე აქვს, მიისწრაფის გარე შრის დასრულების – მდგრადი ელექტრონული, 8-ელექტრონიანი შრის წარმოქმნისაკენ (გარდა წყალბადატომისა, რომელიც ცდილობს 2-ელექტრონიანი შრე წარმოქმნას). დასრულებულ, 8-ელექტრონიან შრეს **ოქტეტი** ეწოდება. გარე შრეს, რომელზეც სავალენტო ელექტრონებია მოთავსებული, **სავალენტო შრე** ეწოდება.

გარე შრის დასრულების ორი პრინციპული გზა არსებობს:

- 1) გარე შრის ელექტრონების გადატანა ერთი ელემენტის ატომიდან მეორეზე;
- 2) საზიარო ელექტრონული წყვილების წარმოქმნა ორ ატომს შორის.

პირველი გზა განპირობებს იონური ბმის დამყარებას, მეორე კი – კოვალენტურის.

3.2

იონური ბმა


იონური ბმა წარმოიქმნება ურთიერთსაწინააღმდეგო მუხტის მქონე იონებს შორის ელექტროსტატიკური მიზიდულობის ძალების მეშვეობით.

იონური ბმა მყარდება ძირითადად მეტალისა და არამეტალის ატომებს შორის. მეტალის ატომები გადასცემს გარე შრის ელექტრონებს არამეტალის ატომებს, რის შედეგადაც მეტალის ატომს რჩება მის წინ მდებარე კეთილშობილი აირის მდგრადი ელექტრონული ოქტეტი, ხოლო არამეტალის ატომი იძენს მომდევნო კეთილშობილი აირის მდგრად ელექტრონულ ოქტეტს.

მაგალითისათვის, განვიხილოთ მაგნიუმის ოქსიდის წარმოქმნა. მაგნიუმი არის მეტალი, რომელსაც გარე შრეზე ორი „ზედმეტი“ ელექტრონი აქვს და იმისათვის, რომ დასრულებული შრე ჰქონდეს, გასცემს ამ ორ ელექტრონს და წარმოქმნის კატიონს მუხტით +2:



ამ დროს მაგნიუმი იღებს ისეთსავე ელექტრონულ კონფიგურაციას, როგორიც აქვს პერიოდულობის ცხრილში მის წინ მდგომ კეთილშობილ აირს – ნეონს (ნახ. 3.2):




ნახ. 3.2. მაგნიუმის იონის წარმოქმნის სქემა.

ჟანგბადს გარე შრეზე აქვს ექვსი ელექტრონი, სტაბილური ელექტრონული შრის მისაღებად ჟანგბადი იძენს ორ ელექტრონს და მიიღება ჟანგბადის ანიონი მუხტით -2:



ამ დროს ჟანგბადი იღებს ისეთსავე ელექტრონულ კონფიგურაციას, როგორც აქვს პერიოდულობის ცხრილში მის შემდგომ მდგომ კეთილშობილ აირს – ნეონს (ნახ. 3.3):




ნახ. 3.3. ჟანგბადის იონის წარმოქმნის სქემა.

როგორც ვხედავთ, მაგნიუმის იონს, ჟანგბადის იონსა და ნეონის ატომს ერთნაირი ელექტრონული კონფიგურაცია აქვს ანუ ისინი იზოლექტრონული ნაწილაკებია.

სხვადასხვა ნიშნით დამუხტული იონები ერთმანეთს ელექტროსტატიკური მიზიდულობის ძალებით იზიდავს და იონურ ნაერთს წარმოქმნის. ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევაში ასეთი ნაერთია მაგნიუმის ოქსიდი – MgO (ნახ. 3.4).


თავი 3. ქიმიური ბმა



ნახ. 3.4. მაგნიუმის ოქსიდის წარმოქმნის სქემა.

იონური ნაერთის წარმოქმნის დროს ელექტრონები გადადის ერთი ელემენტის ატომიდან მეორეზე, რის შედეგადაც წარმოიქმნება დადებითი და უარყოფითი იონები, შესაბამისად, გაცემული ელექტრონების საერთო რაოდენობა მიერთებული ელექტრონების საერთო რაოდენობის ტოლი უნდა იყოს.


მაგალითისათვის განვიხილოთ კალციუმის ფთორიდის წარმოქმნა. ამ დროს კალციუმის მიერ გაცემულ ორ ელექტრონს მიიერთებს ფთორის ორი ატომი. კალციუმი მდებარეობს მე-2 ჯგუფში, გარე შრეზე აქვს ორი ელექტრონი. შრის დასრულებისათვის ის 2 ელექტრონს გასცემს და, შესაბამისად, $+2$ მუხტის მქონე იონს წარმოქმნის. ფთორი მდებარეობს მე-17 ჯგუფში, გარე შრეზე აქვს 7 ელექტრონი და შრის დასასრულებლად ერთ ელექტრონს იერთებს. ამრიგად, კალციუმის ფთორიდის წარმოქმნისას კალციუმის ერთი ატომის მიერ მიერ გაცემულ ორ ელექტრონს ფთორის ორი ატომი იერთებს (ნახ. 3.5).



ნახ. 3.5. კალციუმის ფთორიდის წარმოქმნის სქემა.

თავი 3. ქიმიური ბმა

გარე შრის შევსების წესი, ძირითადად, სამართლიანია პერიოდულობის ცხრილის პირველი 20 ელემენტისთვის და განსხვავებულია გარდამავალი მეტალებისთვის, რადგან მათ შეუძლია ერთზე მეტი იონის წარმოქმნა. ეს განპირობებულია იმით, რომ ეს მეტალები ელექტრონებს გასცემს არა მხოლოდ გარე (s და p), არამედ გარეს წინა (d) ქვედონიდან. მაგალითად, Fe^{2+} იონის წარმოქმნისას რკინის ატომი გარე შრიდან, 4s ორბიტალიდან, გასცემს 2 ელექტრონს. Fe^{3+} -ის შემთხვევაში ატომი გასცემს 2 ელექტრონს 4s ორბიტალიდან, მესამეს კი – 3d ორბიტალიდან:



კითხვები და დავალებები:

- ნახ. 3.4 და 3.5 მსგავსად წარმოადგინეთ შემდეგი ნაერთების წარმოქმნის სქემები:
ა) Na_2S ბ) Li_2O გ) Al_2O_3 დ) Mg_3N_2
- როგორ იცვლება ელექტრონული კონფიგურაცია შემდეგი გარდაქმნების მიმდინარეობისას?
ა) $\text{Na} \rightarrow \text{Na}^+$ ბ) $\text{Br} \rightarrow \text{Br}^-$ გ) $\text{P}^{5+} \rightarrow \text{P}$
დ) $\text{Al} \rightarrow \text{Al}^{3+}$ ე) $\text{Zn}^{2+} \rightarrow \text{Zn}$ ვ) $\text{N}^{3-} \rightarrow \text{N}$
- რამდენი ელექტრონის მიერთება ან გაცემა სჭირდება მოცემულ ელემენტთა ატომებს, რომ უახლოესი კეთილშობილი აირის მსგავსი ელექტრონული კონფიგურაცია მიიღოს?
ა) Li; ბ) Ca; გ) Cs; დ) Ba; ე) Al.
ვ) Cl; ზ) Se; თ) N; ი) I; კ) S.


3.3

იონურ ნაერთთა თვისებები

სუფრის მარილი (NaCl) ჩვენი ყოველდღიური რაციონის განუყოფელი ნაწილია. მყარ ნატრიუმის ქლორიდს ლღობის მაღალი ტემპერატურა აქვს, რაც დაკავშირებულია მასში იონური ბმის არსებობასთან.

იონის ელექტროსტატიკური ველი სივრცეში ყველა მიმართულებით თანაბრად ვრცელდება, ამიტომ ერთი იონი ყველა მის გარშემო განლაგებულ საპირისპირო მუხტის მქონე იონებს იზიდავს. მაგალითად, NaCl -ის კრისტალურ მესერში ნატრიუმის კატიონის (Na^+) გარშემო ქლორის ექვსი ანიონია (Cl^-) და პირიქით.

კრისტალურ მესერში ერთი იონის გარშემო განლაგებული საპირისპირო იონების რიცხვს კოორდინაციული რიცხვი (კრ) ეწოდება. **კოორდინაციული რიცხვი** დამოკიდებულია იონების ზომებზე და იგი მერყეობს 2-დან 12-მდე. NaCl -ის კრისტალურ მესერში ნატრიუმისა და ქლორის იონების კოორდინაციული რიცხვია 6 (ნახ. 3.6).



ნახ. 3.6. ნატრიუმის ქლორიდის კრისტალური მესერი.

იონური ნაერთების (ფუძე ოქსიდების, ჰიდროქსიდებისა და მარილების) კრისტალში ყველა კატიონი და ანიონი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ხოლო ცალკეულ წყვილებს შორის უშუალო, განცალკევებული ქიმიური ბმა არ არსებობს. ამის გამო, იონურ კრისტალში ცალკეული მოლეკულები არ გვხვდება. NaCl -ის მთელი კრისტალი გიგანტურ მოლეკულას წარმოადგენს, რომლის შედგენილობაა Na_nCl_n . იონური ნაერთის უმარტივეს ფორმულას ადგენენ კატიონებსა და ანიონებს შორის თანაფარდობით. მაგალითად, ნატრიუმის ქლორიდის პირობით მოლეკულას ჩაწერენ ასე: NaCl , რაც ნაერთის უმარტივეს შედგენილობას გამოსახავს.

დამუხტულ ნაწილაკებს შორის მიზიდულობა მათ შორის მანძილსა და მუხტის სიდიდეზეა დამოკიდებული. მიზიდულობის ძალა განისაზღვრება **კულონის კანონით**, რომლის მიხედვითაც ძალა პირდაპირპროპორციულია მუხტების (q) ნამრავლისა და უკუპროპორციულია მათ შორის მანძილის (r) კვადრატისა:

$$F = K \frac{q_1 \cdot q_2}{r^2}$$

იონური ნაერთები, ჩვეულებრივ, ლღობისა და დუღილის მაღალი ტემპერატურებით გამოირჩევა. ისინი ოთახის ტემპერატურაზე მყარი ნივთიერებებია. მაგალითად, ნატრიუმის ქლორიდის ლღობისა და დუღილის ტემპერატურებია, შესაბამისად, 801°C და

თავი 3. ქიმიური ბმა

1465 °C, ხოლო მაგნიუმის ოქსიდისა – 2852 °C და 3600 °C. ასეთი მაღალი ლღობისა და დუღილის ტემპერატურები განპირობებულია სხვადასხვა ნიშნით დამუხტულ იონებს შორის ძლიერი ელექტროსტატიკური მიზიდულობის ძალებით. შესაბამისად, ამ ძალების დაძლევისა და მთელი კრისტალური მესრის დაშლას დიდი ენერგია ესაჭიროება.

მაგნიუმის ოქსიდს აქვს ბევრად მაღალი ლღობის ტემპერატურა, ვიდრე ნატრიუმის ქლორიდს, რადგან ელექტროსტატიკური მიზიდულობა მაგნიუმის ოქსიდში არსებული +2 და -2 ნიშნით დამუხტულ იონებს შორის ბევრად მეტია, ვიდრე ნატრიუმის ქლორიდში არსებულ +1 და -1 იონებს შორის. გარდა ამისა, Mg^{2+} და O^{2-} იონთა ზომები ნაკლებია Na^+ და Cl^- იონთა ზომებზე, ამიტომ მაგნიუმსა და ჟანგბადს შორის ბმა უფრო მტკიცეა, ვიდრე ნატრიუმსა და ქლორს შორის. შესაბამისად, მაგნიუმის ოქსიდში იონებს შორის არსებული ძალების დასაძლევად ბევრად მეტი ენერგიაა საჭირო.


მიუხედავად იმისა, რომ იონური ნაერთები დამუხტულ ნაწილაკებს შეიცავს, ისინი მყარ მდგომარეობაში დენს არ ატარებს. ამ მდგომარეობაში იონები მტკიცედ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და არ გადაადგილდება, მხოლოდ ირხევა. გაღობისას იონები თავისუფლად გადაადგილდება და, შესაბამისად, თხევად მდგომარეობაში იონური ნაერთი დენს ატარებს.

იონური ნაერთების უმეტესობა წყალში კარგად ხსნადია. წყალში გახსნისას იონებსა და წყლის მოლეკულებს შორის მიზიდულობის ძალების არსებობის გამო, იონური ნაერთი იონებად იშლება, რის შედეგადაც მიღებული წყალხსნარი დენს ატარებს. ამ საკითხს უკვე გავეცანით მეცხრე კლასში.



კითხვები და დავალებები:

გრაფიკზე წარმოდგენილია კალციუმის ჰალოგენებთან ნაერთების დუღილის ტემპერატურები.



კულონის კანონის დახმარებით ახსენით, რა იწვევს მოცემული ნაერთების დუღილის ტემპერატურებს შორის განსხვავებას.


3.4

კოვალენტური ბმა


კოვალენტური ბმა მყარდება, როდესაც ატომები ერთმანეთს უზიარებს ელექტრონებს.

ატომები იძენს სტაბილურობას (მდგრადობას), როდესაც ერთმანეთთან აწყვილებს ელექტრონებს და წარმოქმნის კოვალენტურ ბმას. კოვალენტური ბმის წარმოქმნის პროცესის განმარტებულია ატომების სწრაფვა, შექმნას კეთილშობილი აირების გარე შრის მსგავსი კონფიგურაცია, რომელსაც მინიმალური პოტენციური ენერგია და, შესაბამისად, მაქსიმალური სტაბილურობა აქვს.

განვიხილოთ კოვალენტური ბმის წარმოქმნა წყალბადის ატომებს შორის. წყალბადის თითოეულ ატომს ერთი ელექტრონი აქვს. როდესაც წყალბადის ორი ატომი ერთმანეთს მიუახლოვდება, თითოეული ატომის დადებითად დამუხტული ბირთვი მეორე ატომის უარყოფითად დამუხტულ ელექტრონს იზიდავს. ეს მიზიდულობის ძალა უფრო მეტია, ვიდრე ელექტრონებს შორის განზიდვა, რაც წყალბადის ატომებს ერთმანეთთან ისეთ მანძილზე აახლოებს, რომ მათი ორბიტალები გადაიფარება და წარმოიქმნება საზიარო ელექტრონული წყვილი. ამის შედეგად მყარდება კოვალენტური ბმა, რომელშიც გაზიარებული ელექტრონებით წყალბადის თითოეული ატომი ჰელიუმის ატომის მსგავს სტაბილურ ელექტრონულ შრეს ($1s^2$) იღებს (ნახ. 3.7).




წყალბადის მოლეკულის წარმოქმნა ასევე შეიძლება გამოვსახოთ ლუისის ელექტრონული ფორმულების გამოყენებით (ნახ. 3.8):



ფთორის მოლეკულის წარმოქმნას თუ განვიხილავთ, აქ ფთორის ატომთა სავალენტო შრეზე 7-7 ელექტრონია და მდგრადი ელექტრონული ოქტეტის მისაღებად თითოეულ ატომს ერთი ელექტრონი აკლია. ამიტომ ფთორის ატომები ერთმანეთს თითო ელექტრონით

თავი 3. ქიმიური ბმა

ექტრონს გაუზიარებს. წარმოქმნილი საზიარო ელექტრონული წყვილის ჩათვლით ყოველი ატომის გარშემო მიიღება 8 ელექტრონიანი შრე – ელექტრონული ოქტეტი, ანუ კეთილშობილი აირის კონფიგურაცია (ნახ. 3.9).



ნახ. 3.9. ფთორის მოლეკულის წარმოქმნა.

ანალოგიურად, ერთი საზიარო წყვილის წარმოქმნით მიიღება სხვა ჰალოგენთა მოლეკულებიც.


რაც შეეხება კეთილშობილ აირებს, მათი გარე შრე დასრულებულია, ამიტომ ამ ელემენტთა ატომები ქიმიურ ბმას არ ამყარებს. შესაბამისად, კეთილშობილი აირები, სხვა მარტივი აირადი ნივთიერებებისგან განსხვავებით, არსებობს ერთატომიანი მოლეკულების სახით.

3.4.1. ორმაგი და სამმაგი ბმები

ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ორ ატომს შორის ელექტრონთა ორი წყვილი (4 ელექტრონი) ან სამი წყვილი (6 ელექტრონი) გაზიარდეს, რის შედეგადაც, შესაბამისად, ორმაგი ან სამმაგი ბმა წარმოიქმნება.

განვიხილოთ, კოვალენტური ბმის წარმოქმნა ჟანგბადის მოლეკულაში O_2 .


ჟანგბადის თითოეულ ატომს აქვს 6 სავალენტო ელექტრონი, ამიტომ შრის დასასრულებლად სჭირდება ორი ელექტრონი. ჟანგბადის ორი ატომი უზიარებს ერთმანეთს ორ-ორ ელექტრონს, რის შედეგადაც მათ ექნებათ საერთო ორი წყვილი ანუ ოთხი ელექტრონი (ნახ. 3.10).



ნახ. 3.10. ჟანგბადის მოლეკულის წარმოქმნა.

აზოტის ატომის სავალენტო შრეზე 5 ელექტრონია და ელექტრონული ოქტეტის მისაღებად აზოტის თითოეული ატომი ერთმანეთს უზიარებს სამ-სამ ელექტრონს, რის შედეგადაც წარმოიქმნება სამი საზიარო ელექტრონული წყვილი, თითოეულ ატომს კი ექნება 8 ელექტრონი (ნახ. 3.11).

თავი 3. ქიმიური ბმა




ნახ. 3.11. აზოტის მოლეკულის წარმოქმნა.

3.4.2. σ და π ბმები

განვიხილოთ, როგორ წარმოიქმნება საზიარო ელექტრონული წყვილები. ატომის ელექტრონული აღნაგობის გაცნობისას ვნახეთ, რომ ატომში ელექტრონები ორბიტალებზე მოძრაობს. საზიარო წყვილის წარმოქმნა ამ ორბიტალების გადაფარვით ხდება. რადგან ორბიტალებს განსხვავებული ფორმა და სივრცული ორიენტაცია აქვს, შესაბამისად, გადაფარვაც შეიძლება სხვადასხვანაირად განხორციელდეს: ატომბირთვების შემაერთებული პირობითი (წარმოსახვითი) ღერძის გასწვრივ, რასაც σ (სიგმა) ანუ **მარტივი ბმა** ეწოდება და ამ ღერძის ორივე მხარეს, p ღრუბლების გვერდითი გადაფარვით, რასაც π (პი)-**ბმა** ეწოდება.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:


წყალბადის მოლეკულაში თითოეული ატომის ერთი ელექტრონი მოძრაობს სფეროს ფორმის s ორბიტალზე, შესაბამისად, საზიარო წყვილის წარმოქმნისას გადაიფარება ორი s ორბიტალი, რის შედეგადაც მიიღება კოვალენტური ბმა (ნახ. 3.12).



ნახ. 3.12. σ -ბმა წყალბადის მოლეკულაში.

ორბიტალები გადაიფარება ბირთვების შემაერთებული ხაზის გასწვრივ, ამიტომ ამ ტიპის გადაფარვის შედეგად σ -ბმა მიიღება.

სფერულ და ჰანტელისებურ (s და p) ორბიტალებზე მოძრავი ელექტრონების ურთიერთგადაფარვით, მაგალითად HCl -ის მოლეკულის წარმოქმნის დროს, ასევე σ -ბმა წარმოიქმნება (ნახ. 3.13).




ნახ. 3.13. σ -ბმა ქლორწყალბადის მოლეკულაში.

p ორბიტალებზე მოძრავი ელექტრონებით კოვალენტური ბმა წარმოიქმნება ორი სხვადასხვა გზით – ღერძის გასწვრივ ან გვერდითი გადაფარვით:


როცა ერთმაგი ბმა წარმოიქმნება p ორბიტალების გადაფარვის შედეგად (მაგალითად, ჰალოგენებში), მაშინ გადაფარვა არის მხოლოდ ღერძის გასწვრივ და მიიღება σ -ბმა (ნახ. 3.14).

თავი 3. ქიმიური ბმა




ნახ. 3.14. σ -ბმა ფთორის მოლეკულაში.

ხოლო p ორბიტალების გვერდითი გადაფარვის შედეგად მიიღება π -ბმა (ნახ. 3.15).



ნახ. 3.15. π -ბმა.

ამის მაგალითია აზოტის მოლეკულა. სამი ბმიდან ერთი წარმოქმნილია ორბიტალების ღერძის გასწვრივ გადაფარვით (σ -ბმა), ხოლო ორი ბმა – p ორბიტალების გვერდითი გადაფარვით (π -ბმები) (ნახ. 3.16).



ნახ. 3.16. σ - და π -ბმები აზოტის მოლეკულაში.



კითხვები და დავალებები:

1. პარაგრაფში მოცემული მაგალითის (ნახ. 3.9) მიხედვით, შეადგინეთ ბრომის მოლეკულის წარმოქმნის სქემა. მიუთითეთ ბმის წარმოქმნელი და თავისუფალი ელექტრონები.
2. რამდენი σ და π ბმაა შემდეგ მოლეკულებში:
 ა) O_2 ბ) H_2 გ) H_2O დ) CO_2 ე) B_2O_3 ვ) H_2SO_4

3.5

კოვალენტური ბმის ტიპები და მოლეკულის ფორმები

3.5.1. კოვალენტური ბმის პოლარობა

როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, ელექტროუარყოფითობა არის ელემენტის უნარი, მიიზიდოს ბმის წარმომქმნელი საზიარო ელექტრონები. შესაბამისად, კოვალენტური ბმაში მონაწილე ატომებს შორის ელექტრონული წყვილი შეიძლება სხვადასხვანაირად გადანაწილდეს.


შევადროთ ბმები წყალბადისა და ქლორწყალბადის მოლეკულაში:

წყალბადის მოლეკულაში ორივე ატომის ელექტროუარყოფითობა ერთნაირია, ამიტომ ისინი თანაბრად იზიდავს საზიარო ელექტრონულ წყვილს. ამ შემთხვევაში წარმოქმნილ კოვალენტურ ბმას **არაპოლარულ-კოვალენტურ ბმას** უწოდებენ.

ქლორწყალბადის მოლეკულაში კოვალენტური ბმის საზიარო ელექტრონული წყვილი არათანაბრადაა განაწილებული ბმის წარმომქმნელ ატომთა შორის, ანუ ბმა **პოლარიზებულია** – ელექტრონული წყვილი გადაწეულია უფრო ელექტროუარყოფითი ელემენტის, ქლორის, მხარეს. ასეთ ბმას **პოლარულ-კოვალენტური ბმა** ეწოდება. რაც უფრო დიდი სხვაობაა (ΔX) ელემენტების ელექტროუარყოფითობებს შორის, მით მეტია ბმის პოლარიზაცია. უნდა აღინიშნოს, რომ პოლარიზაციის დროს მუხტის სიდიდე ვერ იქნება მთელი რიცხვი, რადგან ელექტრონები საზიაროა და, იონურისაგან განსხვავებით, არ არის გადასული ერთი ატომიდან მეორეზე. ამიტომ თვლიან, რომ პოლარულ-კოვალენტურ ბმაში მონაწილე უფრო ელექტროუარყოფითი ელემენტის ატომი იმუხტება ნაწილობრივ უარყოფითად (აღინიშნება, როგორც δ^-), ხოლო ნაკლებად ელექტროუარყოფითი ელემენტის ატომი – ნაწილობრივ დადებითად (δ^+).

კოვალენტური ბმის პოლარობას ბმის წარმომქმნელ ელემენტთა ელექტროუარყოფითობებს შორის სხვაობით (ΔX) აფასებენ. (ცხრილი 3.1). კერძოდ, მიიჩნევენ, რომ კოვალენტური ბმა არაპოლარულ-კოვალენტურია, როცა ΔX -ის მნიშვნელობა 0-დან 0.4-მდეა. როცა ΔX 0.5-დან 1.8-მდე შუალედშია, მაშინ ბმა პოლარულ-კოვალენტურად ითვლება, ხოლო თუ $\Delta X > 1.8$ -ზე, მაშინ ბმა იონურია.

ცხრილი 3.1. ელექტროუარყოფითობა და ბმის პოლარობა.

სხვაობა ატომთა ელექტროუარყოფითობებს შორის	0 0.4 1.8 3.3		
საზიარო ელექტრონების განაწილება ატომთა შორის	თანაბარია 	არათანაბარია, გადახრილია უფრო ელექტროუარყოფითი ატომისაკენ 	არათანაბარია, მთლიანად გადასულია უფრო ელექტროუარყოფით ატომზე 
ბმის ტიპი	არაპოლარულ-კოვალენტური	პოლარულ-კოვალენტური	იონური


3.5.2. მოლეკულის პოლარობა

კოვალენტური ბმა შეიძლება იყოს პოლარული ან არაპოლარული, შესაბამისად, მოლეკულაც შეიძლება იყოს პოლარული ან არაპოლარული, რაც დამოკიდებულია მასში არსებული ბმების პოლარობასა და მოლეკულის ფორმაზე. მოლეკულის პოლარული ან არაპოლარული ბუნება განსაზღვრავს შემდგომში ნივთიერების თვისებებს.

პოლარულ-კოვალენტური ბმის შემცველ მოლეკულებში საზიარო ელექტრონული წყვილი გადანეულია მეტად ელექტროუარყოფითი ელემენტისკენ, ამიტომ მასზე ჩნდება ნაწილობრივ უარყოფითი მუხტი (δ^-), ხოლო ნაკლებ ელექტროუარყოფითზე – ნაწილობრივ დადებითი მუხტი (δ^+).

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

ქლორწყალბადის მოლეკულაში საზიარო ელექტრონული წყვილი გადანეულია ქლორისკენ, რადგან $X(H)=2.1$, ხოლო $X(Cl)=3.0$. ამიტომ, წყალბადი იმუხტება ნაწილობრივ დადებითად ($H^{\delta+}$), ხოლო ქლორი – ნაწილობრივ უარყოფითად ($Cl^{\delta-}$). საზიარო წყვილის გადანევის გამო, დადებითი და უარყოფითი მუხტების ცენტრები ერთმანეთს დაშორდება გარკვეული მანძილით და წარმოიქმნება ორპოლუსიანი მოლეკულა (ნახ. 3.17).



ნახ. 3.17. ქლორწყალბადის მოლეკულა პოლარულია.



ბინარული ნაერთის შემთხვევაში ორპოლუსიან მოლეკულას ასე მარტივად გამოსახავენ:



მას დიპოლი ეწოდება.


განვიხილოთ წყლის მოლეკულა:

წყლის მოლეკულაში ჟანგბადის ატომს აქვს ექვსი სავალენტო ელექტრონი (ორი ელექტრონული წყვილი და ორი გაუწყვილებელი). გარე შრის დასასრულებლად კი სჭირდება ორი ელექტრონი, რომელსაც გაუზიარებს წყალბადის თითოეული ატომი. შედეგად ჟანგბადს შეუძლია წარმოქმნას ორი კოვალენტური ბმა, ანუ წყლის მოლეკულაში ჟანგბადი ორვალენტიანია. ჟანგბადის ცენტრალურ ატომს რჩება ორი თავისუფალი ელექტრონული წყვილი, რაც განაპირობებს წყლის მოლეკულის კუთხოვან აღნაგობას (ნახ. 3.18).



ნახ. 3.18. წყლის მოლეკულის აღნაგობა.


წყალბადსა და ჟანგბადს შორის არის პოლარულ-კოვალენტური ბმა, რომელიც გადანეულია უფრო ელექტროუარყოფითი ატომის – ჟანგბადისაკენ, რაც ბმის პოლარიზაციას იწვევს. ჟანგბადი იმუხტება ნაწილობრივ უარყოფითად, წყალბადი კი – ნაწილობრივ დადებითად. შედეგად მოლეკულა პოლარულია (ნახ. 3.19).



ნახ. 3.19. წყლის მოლეკულა პოლარულია.

ანალოგიურად განვიხილოთ ამიაკის მოლეკულაც:

ამიაკის მოლეკულაში არის ერთი ატომი აზოტი და სამი ატომი წყალბადი. აზოტის ატომს გარე შრეზე აქვს ხუთი ელექტრონი (ერთი წყვილი და სამი გაუწყვილებელი), ხოლო წყალბადის თითოეულ ატომს – ერთი ელექტრონი. სტაბილური ელექტრონული სტრუქტურის მისაღებად აზოტს სჭირდება სამი ელექტრონი, რომლებსაც წყალბად-ატომები გაუზიარებს. შედეგად მიიღება მოლეკულა, სადაც აზოტის ატომი წარმოქმნის სამ კოვალენტურ ბმას (ამიაკის მოლეკულაში აზოტი სამვალენტოა) წყალბადის ატომებთან, ხოლო ელექტრონული წყვილი რჩება თავისუფალი. შედეგად მოლეკულა იღებს სამკუთხა პირამიდის ფორმას (ნახ.3.20).




ნახ. 3.20. ამიაკის მოლეკულის აღნაგობა.

წყალბადსა და აზოტს შორის არის პოლარულ-კოვალენტური ბმა, რომელიც გადანეულია უფრო ელექტროუარყოფითი ატომის – აზოტისკენ, რაც ბმის პოლარიზაციას იწვევს. შედეგად ამიაკის მოლეკულა პოლარულია.

განვიხილოთ კიდევ ერთი ნივთიერების – მეთანის (CH_4) მოლეკულის წარმოქმნა:


ნახშირბადის ატომს გარე შრეზე ოთხი სავალენტო ელექტრონი აქვს. ძირითად მდგომარეობაში მისი ელექტრონული ფორმულაა $1s^2 2s^2 2p^2$. გარე შრის $2s$ ქვედონიდან ელექტრონს ადვილად შეუძლია გადავიდეს $2p$ ქვედონის თავისუფალ ორბიტალზე და შედეგად მიიღება ოთხი გაუწყვილებელი ელექტრონი. ნახშირბადის ატომი ამ ელექტრონებს იყენებს ოთხი კოვალენტური ბმის დასამყარებლად (ნახ. 3. 21).



ნახ. 3.21.

თავი 3. ქიმიური ბმა

მეთანის მოლეკულაში ცენტრალურ ატომს წარმოადგენს ნახშირბადი, რომელიც ოთხ სავალენტო ელექტრონს წყალბადატომებს უზიარებს. შესაბამისად, მეთანის სტრუქტურა შემდეგნაირად ჩაიწერება (ნახ. 3.22):



ნახ. 3.22. მეთანის მოლეკულის აღნაგობა.

შედეგად ნახშირბადი იღებს ელექტრონულ ოქტეტს (8 ელექტრონი, ანუ 4 წყვილი), ხოლო წყალბადის თითოეული ატომი ისრულებს ორ-ელექტრონიან შრეს.



მოლეკულა იღებს წესიერი სამკუთხა პირამიდის - ტეტრაედრის ფორმას, რომელიც სივრცეში თანაბრად არის განაწილებული ტეტრაედრის წვეროების მიმართულებით. ვინაიდან ნახშირბადზე, აზოტისა და ჟანგბადისგან განსხვავებით, არ არის თავისუფალი ელექტრონული წყვილი და ბმის პოლარიზაცია არ ხდება. შედეგად, მეთანის მოლეკულა არაპოლარულია.

განვიხილოთ ნახშირორჟანგის მოლეკულის წარმოქმნა. როგორც უკვე ვიცით, ნახშირბადს აქვს 4 ელექტრონი გარე შრეზე და შრის დასასრულებლად სჭირდება კიდევ 4 ელექტრონი, ხოლო ჟანგბადის თითოეულ ატომს ოქტეტამდე აკლია ორი ელექტრონი. ამიტომ ნახშირბადი ორ-ორ ელექტრონს გაუზიარებს ჟანგბადის თითოეულ ატომს, რის შედეგადაც ნახშირბადსა და ჟანგბადის თითოეულ ატომს შორის ორ-ორი პოლარულ-კოვალენტური ბმა წარმოიქმნება. მოლეკულაში ნახშირბადის ატომზე არ არის თავისუფალი ელექტრონული წყვილი, რაც მოლეკულის წრფივ აღნაგობას განაპირობებს (ნახ. 3.23).



ნახ. 3.23. ნახშირორჟანგის მოლეკულის ფორმა.

პოლარულ-კოვალენტური ბმის შემცველი მოლეკულაც შეიძლება იყოს არაპოლარული. ნახშირორჟანგის წრფივ მოლეკულაში არსებულ ბმებში ჟანგბადი დამუხტულია ნაწილობრივ უარყოფითად, ხოლო ნახშირბადი - ნაწილობრივ დადებითად. ისინი განლაგებულია ერთი წრფის გასწვრივ საპირისპირო მიმართულებით, ამიტომ მათი პოლარული ბუნება ბათილდება და საბოლოოდ მოლეკულა არაპოლარულია (ნახ. 3.24):



ნახ. 3.24. ნახშირორჟანგის მოლეკულა განსხვავებული ელექტროუარყოფითობის ატომებს შეიცავს, მაგრამ ისინი სიმეტრიულადაა განლაგებული და პოლარული მოლეკულა არ მიიღება. ეს შეიძლება შევადაროთ სიტუაციას, რომელიც ნახაზზეა გამოსახული: ორი წითელმასიურიანი ბიჭი ერთნაირი ძალით აქეთ-იქით ექაჩება თოკს, რომლის კვანძიც ადგილზე რჩება.



კითხვები და დავალებები:


- შეადგინეთ ქვემოთ ჩამოთვლილ ნივთიერებათა ლუისის ელექტრონული ფორმულები და შექმენით მათი მოდელები:
 H_2S ; CF_4 ; PH_3 ; SiCl_4 .
 ა) მოცემული მოლეკულებიდან, რომელია პოლარული და რომელი - არაპოლარული? პასუხი დაასაბუთეთ.
 ბ) ივარაუდეთ ბმის კუთხე თითოეულ მოლეკულაში.
- რომელი ბმა უფრო პოლარულია:
 ა) ნახშირბადსა და აზოტს თუ ნახშირბადსა და ჟანგბადს შორის?
 ბ) აზოტსა და ფთორს თუ აზოტსა და ჟანგბადს შორის?
 გ) ბრომსა და ფთორს თუ ბრომსა და იოდს შორის?
 დ) ნახშირბადის ატომებს თუ ნახშირბადსა და ჟანგბადს შორის?
- მოცემულია **A** და **B** მოლეკულები:
 ა) **A** მოლეკულაში ცენტრალურ ატომთან დაკავშირებულია სხვა ელემენტის სამი ატომი; ცენტრალურ ატომს აქვს ერთი თავისუფალი ელექტრონული წყვილი.
 ბ) **B** მოლეკულაში ცენტრალურ ატომთან დაკავშირებულია სხვა ელემენტის ორი ატომი; ცენტრალურ ატომს აქვს ორი თავისუფალი ელექტრონული წყვილი.
 როგორი ფორმა და პოლარობა აქვს **A** და **B** მოლეკულებს?
- ნაერთებში ჟანგბადის ატომი ორვალენტურია. იმავე ჯგუფის ელემენტი გოგირდი კი ავლენს როგორც ორ – **S(II)**, ასევე ოთხ – **S(IV)** და ექვს – **S(VI)** ვალენტობას. ახსენით ამის მიზეზი.

3.6

კოვალენტური ბმის წარმოქმნა დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით

ატომთა შორის კოვალენტური ბმა, როგორც ვნახეთ, საზიარო ელექტრონული წყვილის წარმოქმნის ხარჯზე მყარდება. მაგალითებში, რომლებსაც გავეცანიტ, საზიარო წყვილი ორივე ატომის გაუწყვილებელი ელექტრონებით წარმოიქმნებოდა. მაგრამ საზიარო ელექტრონული წყვილის წარმოქმნა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთ ატომს ექნება თავისუფალი ელექტრონული წყვილი, რომელსაც მეორე ატომს გაუზიარებს. ატომს, რომელსაც აქვს თავისუფალი ელექტრონული წყვილი, **დონორი** ეწოდება, ხოლო ატომს, რომელიც გაიზიარებს დონორის ელექტრონულ წყვილს – **აქცეპტორი**. ცხადია, აქცეპტორის როლის შესრულება შეუძლია ისეთ ატომს, რომელსაც **თავისუფალი ანუ ვაკანტური ორბიტალი** აქვს, სადაც თავისუფალი ელექტრონული წყვილი „ჩაინერგება“. კოვალენტური ბმის წარმოქმნის ასეთ მექანიზმს **დონორულ-აქცეპტორული მექანიზმი** ეწოდება. დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით დამყარებული კოვალენტური ბმა თავისი ბუნებითა და თვისებებით არ განსხვავდება სხვადასხვა ელემენტის გაუწყვილებელი ელექტრონებით წარმოქმნილი კოვალენტური ბმისაგან.

მაგალითისთვის განვიხილოთ ამონიუმის იონის წარმოქმნა. ამიაკის მოლეკულის (NH_3), აზოტი, რომელსაც თავისუფალი ელექტრონული წყვილი აქვს, დონორია. წყალბადის კატიონი, რომელსაც აქვს ვაკანტური ორბიტალი, აქცეპტორია და ის დონორის თავისუფალ ელექტრონულ წყვილს მიიღებს. ამის შედეგად წყალბადის კატიონი დაუკავშირდება აზოტის ატომს, რის შედეგადაც წარმოიქმნება ამონიუმის კატიონი (ნახ. 3.25), სადაც წყალბადის კატიონის დადებითი მუხტი თანაბრადაა გადანაწილებული მთელ ნაწილაკზე.



ნახ. 3.25. ამონიუმის იონის წარმოქმნა.

დონორულ-აქცეპტორულ ბმას ზოგჯერ ისრითაც გამოსახავენ, რომელიც დონორიდან აქცეპტორისკენ არის მიმართული.

როგორც ვიცით, ვალენტობა არის ქიმიური ელემენტის უნარი დაიკავშიროს სხვა ელემენტის ატომთა განსაზღვრული რიცხვი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვალენტობა არის ელემენტის ატომის მიერ დამყარებული ქიმიური ბმების რიცხვი კოვალენტურ ნაერთებში. ამიაკის მოლეკულაში აზოტი წყალბადის ატომებთან წარმოქმნის სამ კოვალენტურ ბმას, შესაბამისად, ის ამ მოლეკულაში არის სამვალენტიანი, ხოლო ამონიუმის


თავი 3. ქიმიური ბმა

კატიონში კი აზოტი კოვალენტურად დაკავშირებულია წყალბადის ოთხ ატომთან, შესაბამისად, აქ ის ოთხვალენტიანია.

განვიხილოთ ამონიუმის ქლორიდის წარმოქმნა:



ამ რეაქციაში ამიაკის მოლეკულამ მიიღო წყალბადის კატიონი ქლორწყალბადის მოლეკულიდან, ხოლო წარმოქმნილი ამონიუმის კატიონი – იონური ბმით დაუკავშირდა ქლორიდ-იონს. ამონიუმის ქლორიდში არის იონური კრისტალური მესერი (ნახ. 3.26).



ნახ. 3.26. ამონიუმის ქლორიდის იონური კრისტალური მესერი.



კითხვები და დავალებები:

- შეადგინეთ ამიაკისგან შემდეგი იონური ნაერთების მიღების რეაქციათა ტოლობები:
 - ამონიუმის ჰიდროქსიდი
 - ამონიუმის ნიტრატი
 - ამონიუმის ფოსფატი
 - ამონიუმის სულფატი
- ამონიუმის იონის წარმოქმნის მაგალითის მიხედვით, შეადგინეთ წყლის მოლეკულისგან ჰიდროქსონიუმის იონის (H_3O^+) წარმოქმნის სქემა.


3.7

კოვალენტური ბმის მახასიათებლები

კოვალენტური ბმის შემცველი მარტივი ნივთიერება აზოტი განსაკუთრებულ ქიმიურ სტაბილურობას ამჟღავნებს. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ კოვალენტური ბმაში ატომები ერთმანეთს უკავშირდება ბმაში მონაწილე დადებითად დამუხტულ ატომბირთვებსა და გაზიარებულ ელექტრონებს შორის ელექტროსტატიკური მიზიდულობის ხარჯზე.

უარყოფითად დამუხტული საზიარო ელექტრონები ერთდროულად მიიზიდება ატომთა ბირთვების მიერ, რაც ატომებს ერთმანეთთან აკავებს (ნახ. 3.27).



ნახ. 3.27. საზიარო ელექტრონების მიზიდვა ატომბირთვების მიერ.

კოვალენტური ბმა ხასიათდება ბმის ენერგიით. **ბმის ენერგია არის ენერგიის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა 1 მოლი კოვალენტური ბმის გასაწყვეტად აირად მდგომარეობაში, სტანდარტულ პირობებში.**

ბმის გასაწყვეტად საჭიროა ენერგიის დახარჯვა, ამიტომ ეს პროცესი ენდოთერმულია, ხოლო ბმის წარმოქმნა ეგზოთერმულია და ამ დროს იმავე რაოდენობით ენერგია გამოიყოფა, რაც მის გაწყვეტაზე უნდა დაიხარჯოს.

ზოგადად, სხვადასხვა ატომებს შორის ერთმაგი ბმების ენერგიების შედარებისას ჩანს, რომ რაც უფრო მეტია ბმის სიგრძე, მით უფრო სუსტია ბმა, ანუ ნაკლებია ბმის ენერგია (ცხრილი 3.2).

პერიოდულობის ცხრილის ჯგუფებში ზევიდან ქვევით ელემენტებს შორის ბმის სიგრძეებს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ რაც მეტია ატომური რადიუსი, მით მეტია ბმის სიგრძე, შესაბამისად, მცირდება მიზიდულობა საზიარო ელექტრონულ წყვილსა და ბმაში მონაწილე ატომთა ბირთვებს შორის, რაც ბმის ენერგიას ამცირებს.


ცხრილი 3.2. ზოგიერთი ბმის სიგრძე და ენერგია.

ბმა	სიგრძე, ნმ	ენერგია, კჯ/მოლი
C-C	0.154	348
Si-Si	0.235	226
Ge-Ge	0.241	188
Cl-Cl	0.199	242
Br-Br	0.228	193
I-I	0.267	151

თავი 3. ქიმიური ბმა


მოლეკულაში ჯერადი ბმების არსებობის შემთხვევაში, რაც უფრო მეტი საზიარო ელექტრონი მონაწილეობს ბმაში, მით უფრო ძლიერ მიიზიდება ისინი ატომბირთვების მიერ (ნახ 3.28).

ყველაზე ძლიერი მიზიდულობა




სამმაგი ბმა

ყველაზე სუსტი მიზიდულობა



ორმაგი ბმა



ერთმაგი ბმა

ნახ. 3.28. ბირთვების მიერ ბმის ელექტრონების მიზიდვა ჯერად ბმებში.

ამის შედეგად ბმის ჯერადობის გაზრდით ბმის სიგრძე მცირდება, ხოლო ბმის ენერგია – იზრდება. ცხრილიდან 3.3 ჩანს, რომ სამმაგი ბმის ენერგია უფრო მეტია, ვიდრე ორმაგი და ერთმაგი ბმის ენერგიები. ამავდროულად სამმაგი ბმის სიგრძე ნაკლებია, ვიდრე ორმაგი და ერთმაგი ბმის სიგრძეები.

ცხრილი 3.3. ჯერადი ბმების სიგრძეები და მათი ენერგიები.

ბმა	სიგრძე, ნმ	ენერგია, კჯ/მოლი
C–C	0.154	348
C=C	0.134	612
C≡C	0.12	837
C–O	0.143	360
C=O	0.122	743

აზოტის მოლეკულაში სწორედ სამმაგი ბმის არსებობა განაპირობებს მის განსაკუთრებულ მდგრადობას, რაც გამოიხატება დაბალ რეაქციისუნარიანობაში.




კითხვები და დავალებები:

- დაალაგეთ მოცემული ბმები სიგრძის ზრდის მიხედვით:
 - C–Cl; C–I; C–Br; C–F
 - N=N; N–N; N≡N
- დაალაგეთ მოცემული ბმები ენერგიის ზრდის მიხედვით:
 - H–O; H–Se, H–S; H–Te
 - C≡N; C–N; C=N
- ჰალოგენწყალბადმჟავებში (HF, HCl, HBr, HI) მჟავათა სიძლიერე იზრდება ჯგუფში ზევიდან ქვევით. ახსენით ამის მიზეზი.

არამოლეკულური აღნაგობის მქონე ნივთიერებები


იონური ბმის შესწავლისას ვნახეთ, რომ იონური ნაერთი მყარია და აქვს კრისტალური მესერი, სადაც მესრის კვანძებში განლაგებულია დადებითად და უარყოფითად დამუხტული იონები. ასევე გავიხსენოთ, რომ კოვალენტური ნაერთები ძირითადად მოლეკულებისგან შედგება, ანუ მათი აღნაგობა მოლეკულურია. განვიხილოთ შესაბამისი მაგალითები:

იონური ნაერთის – ნატრიუმის ქლორიდის კრისტალური მესრის კვანძებში დადებით იონებსა და უარყოფით იონებს შორის ძლიერი მიზიდულობის ძალებია (ნახ. 3.29), რაც განაპირობებს ნაერთის სიმტკიცეს, მაგალითად, ღლიბის მაღალ ტემპერატურას (801°C).



ნახ. 3.29. ნატრიუმის ქლორიდის კრისტალური სტრუქტურა.

წყალი მოლეკულური აღნაგობის კოვალენტური ნაერთია, რომელიც მყარ მდგომარეობაში – ყინულში – ასევე კრისტალს წარმოქმნის, მაგრამ ამ შემთხვევაში კრისტალური მესრის კვანძებში წყლის მოლეკულებია (ნახ. 3.30) და მათ შორის კავშირები სუსტია. ამის გამო ყინულის ღლიბის ტემპერატურა (0°C) გაცილებით დაბალია, ვიდრე ნატრიუმის ქლორიდის.




ნახ. 3.30. ყინულის კრისტალური სტრუქტურა.

თავი 3. ქიმიური ბმა

კოვალენტური ბმების შემცველი ზოგიერთი ნივთიერების (მაგ., ალმასი და კვარცი) ლღობის ტემპერატურა ძალიან მაღალია, რაც მიანიშნებს, რომ მათ კრისტალებში ბმები ძალიან მტკიცეა. ასეთ ნივთიერებათა აღნაგობა არამოლეკულურია – ისინი ცალკეული მოლეკულების სახით არ გვხვდება. ისინი არსებობს მაკრომოლეკულების – გიგანტური კოვალენტური სტრუქტურების სახით, სადაც კრისტალური მესრის კვანძებში ატომებია განლაგებული.

არამოლეკულური აღნაგობის და გიგანტური კოვალენტური სტრუქტურის მქონე ნივთიერებების მაგალითებია ნახშირბადის ალოტროპები – ალმასი და გრაფიტი, რომლებსაც ადრე გავეცანით.

ალმასი შედგება ნახშირბადის ატომებისგან, რომლებიც კრისტალში ერთმანეთთან მტკიცედ არის დაკავშირებული. თითოეული ნახშირბადატომი წარმოქმნის კოვალენტურ ბმებს ოთხ სხვა ნახშირბადატომთან, რის შედეგადაც მიიღება ტეტრაედრული წყობა. ამრიგად, ალმასში ერთმანეთთან დაკავშირებულია უამრავი ნახშირბადატომი, რაც გიგანტურ კოვალენტურ სტრუქტურას ქმნის (ნახ. 3.31). ალმასი არის ძალიან მტკიცე, რადგან მასში ატომები ძლიერი კოვალენტური ბმებითაა დაკავშირებული. ამიტომაც ის მინერალთა შორის ყველაზე მეტი სიმაგრით გამოირჩევა და ძალიან მაღალი ლღობის ტემპერატურა (3550°C) აქვს. ალმასი არ ატარებს დენს, რადგან მასში არ არის იონები ან თავისუფლად მოძრავი ელექტრონები.




ნახ. 3.31. ალმასის კრისტალური სტრუქტურა.

გრაფიტსაც გიგანტური მოლეკულური სტრუქტურა აქვს, მაგრამ, ალმასისაგან განსხვავებით, ბუნებაში ერთ-ერთი ყველაზე რბილი ნივთიერებაა. მიუხედავად იმისა, რომ გრაფიტი ალმასის მსგავსად მხოლოდ ნახშირბადატომებისგან შედგება, ატომთა წყობით მნიშვნელოვნად განსხვავდება. გრაფიტში ნახშირბადატომები კოვალენტურად უკავშირდება სამ მეზობელ ატომს და ისინი ექვსი ატომისაგან შედგენილ რგოლებს წარმოქმნის. ეს რგოლები გაერთიანებულია გიგანტური სტრუქტურის ბრტყელ ფენებში, რომლებსაც ერთმანეთთან ქიმიური ბმა არ აკავშირებს (ნახ. 3.32). ამის გამო გრაფიტი, ალმასისგან განსხვავებით, რბილი და სრიალაა. მისი ფენები ერთმანეთს ადვილად სცილდება. ამიტომ გრაფიტის ფანქარი ფურცელზე კვალს ტოვებს. განსხვავებულია გრაფიტის ელექტროგამტარობაც. გრაფიტში თითოეული ნახშირბადატომი ოთხ სავალენტო ელექტრონთაგან ბმების წარმოსაქმნელად მხოლოდ სამს იყენებს, მეოთხე კი


თავი 3. ქიმიური ბმა

თავისუფალი რჩება, რომლის ხარჯზეც გრაფიტი ელექტრულ დენს ატარებს.

ნახშირბადის კიდევ ერთი ალოტროპია ფულერენი – C_{60} , რომელშიც, გრაფიტის მსგავსად, თითოეული ნახშირბადატომი კოვალენტური ბმით სამ მეზობელ ატომს უკავშირდება. ოღონდ, გრაფიტისაგან განსხვავებით, გიგანტური სტრუქტურა არ წარმოიქმნება – და მიიღება ბურთის მსგავსი წყობის მოლეკულები, რომლებშიც 60-60 ატომი ნახშირბადი შედის (ნახ. 3.33).




ნახ. 3.32. გრაფიტის კრისტალური სტრუქტურა.



ნახ. 3.33. ფულერენის კრისტალური სტრუქტურა.

გიგანტური კოვალენტური სტრუქტურის ნაერთების კიდევ ერთი მაგალითია სილიციუმის დიოქსიდი (SiO_2), რომელიც ასევე ატომური აღნაგობის ნივთიერებაა. ეს ნაერთი ბუნებაში კვარცის სახით გვხვდება და ქვიშის მთავარი შემადგენელი კომპონენტია. სილიციუმის დიოქსიდში ატომების ტეტრაედრული წყობაა. სილიციუმის თითოეული ატომი ოთხ ჟანგბადატომთან კოვალენტურადაა დაკავშირებული. თავის მხრივ, ყოველი ჟანგბადატომი სილიციუმის ორ ატომთანაა მიერთებული. ამის შედეგად მიიღება ძალიან მტკიცე გიგანტური კოვალენტური სტრუქტურა (ნახ. 3.34), რომლის ლღობის ტემპერატურაც ($1710^{\circ}C$) მაღალია.




ნახ. 3.34. სილიციუმის დიოქსიდის კრისტალური სტრუქტურა.




კითხვები და დავალებები:

მოცემულია ბორის ნიტრიდისა და სილიციუმის კარბიდის (კარბორუნდის) სტრუქტურები. აღნაგობიდან გამომდინარე იმსჯელეთ და ივარაუდეთ, როგორი თვისებები ექნება თითოეულ მათგანს.




ბორის ნიტრიდი



სილიციუმის კარბიდი

მეტალები, როგორც ჩვენთვის ცნობილია, თავისებური აღნაგობით გამოირჩევა. მეტალის ატომის გარე შრეზე მცირე რაოდენობით ელექტრონებია, ისინი ატომებს ადვილად ტოვებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება მეტალის კატიონები და თავისუფალი ელექტრონები. ეს ელექტრონები გადანაწილებულია მთელ სტრუქტურაში და ქმნის ე. წ. „ელექტრონების ზღვას“. მეტალურ ბმას აქვს ელექტროსტატიკური ბუნება, რომელიც დადებითად დამუხტული კატიონებსა და უარყოფითად დამუხტულ, თავისუფალ ელექტრონებს შორის ურთიერთმიზიდვის შედეგია (ნახ. 3.35). ასეთ ბმას მეტალური ბმა ეწოდება.




ნახ. 3.35. მეტალის კატიონებისა და თავისუფალი ელექტრონის ურთიერთმიზიდვა.

თითოეული ელექტრონი მიიზიდება ყველა კატიონის მიერ, შესაბამისად, მიიღება მტკიცე კრისტალური მესერი, სადაც კვანძებში განლაგებულია მეტალის კატიონები და ატომები, ხოლო მათ შორის თავისუფალი ელექტრონებია.

მეტალთა თვისებები მეტალური ბმის არსებობითაა განპირობებული. მაგალითად, მეტალთა ლღობის ტემპერატურა უმრავლეს შემთხვევაში მაღალია. ეს განპირობებულია იმით, რომ მეტალური ბმა ძლიერია და ამ ბმის საფუძველზე წარმოქმნილი კრისტალის დაშლისათვის დიდი ენერგიაა საჭირო.

მაგალითისათვის შევადაროთ მეტალები – ნატრიუმი და მაგნიუმი. მათი ლღობის ტემპერატურებია, შესაბამისად, 98°C და 649°C . ეს სხვაობა რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას:

მაგნიუმი წარმოქმნის $+2$ მუხტის მქონე კატიონებს, ხოლო ნატრიუმის კატიონთა მუხტია $+1$. ამის გამო ელექტროსტატიკური მიზიდულობა იონებსა და თავისუფალ ელექტრონებს შორის მაგნიუმში უფრო ძლიერია (ნახ. 3.36).



ნახ. 3.36. მეტალური ბმა ნატრიუმსა და მაგნიუმში.

თავი 3. ქიმიური ბმა

მაგნიუმის იონის რადიუსი (65 პმ) უფრო მცირეა, ვიდრე ნატრიუმის იონის რადიუსი (98 პმ), შესაბამისად, თავისუფალი ელექტრონები უფრო ახლოს არის დადებით იონთან ბირთვებთან და, შესაბამისად, უფრო ძლიერად მიიზიდება.

მეტალების სხვა ფიზიკური თვისებები ასევე განპირობებულია მეტალური ბმის არსებობით (ცხრილი 3.4).

ცხრილი 3.4. მეტალთა თვისებები და მათი გამომწვევი მიზეზები.

თვისება	მიზეზი
ბზინვარება	თავისუფალი ელექტრონების არსებობა მეტალის ზედაპირთან.
პლასტიკურობა	თავისუფალი ელექტრონების ხარჯზე მეტალის ფენებს ჰორიზონტალურ სიბრტყეში თავისუფლად გადაადგილება შეუძლია.
თბო და ელექტროგამტარობა	თავისუფალი ელექტრონები ადვილად იღებს ენერგიას და სითბოს მთელ სტრუქტურას სწრაფად გადასცემს. თუ მეტალზე მოდებულია შესაბამისი ძაბვა, თავისუფალ ელექტრონებს მუხტის გადატანა შეუძლია.



კითხვები და დავალებები:

გადახაზეთ ცხრილი სამუშაო რვეულში და შეაყვანეთ ცარიელი უჯრები თქვენ მიერ მოძიებული ინფორმაციით:


მეტალი	ფორმულა	აგრეგატული მდგომარეობა	ფერი	სიმკვრივე (გ/სმ³)	ღოლის ტემპერატურა, °C
ნატრიუმი					
მაგნიუმი					
ალუმინი					
რკინა					
ვერცხლი					
სპილენძი					
ოქრო					
ტყვია					
ვერცხლისწყალი					

დაუკავშირეთ ამ მეტალთა ფიზიკური თვისებები მათი გამოყენების სფეროებს.

3.10

წყალბადური ბმა

ნაწილაკებს შორის არსებობს სხვადასხვა ტიპის მიზიდულობის ძალა. მაგალითად, იონები (იონურ ნაერთებში) ან ატომები (კოვალენტურ ნაერთებში) ერთმანეთს უკავშირდება ელექტროსტატიკური მიზიდულობის ძალებით, რომლებიც, შესაბამისად, იონურ ან კოვალენტურ ბმას წარმოადგენს. მიზიდულობის ძალებს, რომლებიც მოლეკულაში არსებულ ატომებს ერთმანეთთან აკავშირებს, **შიდამოლეკულური მიზიდულობის ძალები** ეწოდება. არსებობს სხვა ტიპის ძალებიც, რომლებიც ერთმანეთთან მოლეკულებს აკავშირებს. ასეთი ტიპის ძალებს **მოლეკულათაშორისი მიზიდულობის ძალები** ეწოდება და ისინი შიდამოლეკულურ ძალებზე (ნახ. 3.37) გაცილებით სუსტია.




ნახ. 3.37. შიდამოლეკულური და მოლეკულათაშორისი მიზიდულობის ძალები.

მოლეკულებს შორის მიზიდულობის ძალები განაპირობებს მათ ფიზიკურ თვისებებს, როგორებიცაა დუილისა და ლღობის ტემპერატურა, აქროლადობა, ხსნადობა და ა. შ.

მოლეკულათაშორისი მიზიდულობის ძალების ერთ-ერთი ტიპი არის წყალბადური ბმა, რომელიც წარმოიქმნება პოლარულ მოლეკულებს შორის ერთი მოლეკულის ძლიერ ელექტროუარყოფით ატომსა (N, O ან F) და მეორე მოლეკულის წყალბადატომს შორის. როდესაც ელემენტის ელექტროუარყოფითობა დიდია, ის იწვევს მოლეკულის ძლიერ პოლარიზაციას, რაც თავისთავად ზრდის მიზიდულობის ძალებს მოლეკულებს შორის. ის სიძლიერით იმდენად აღემატება ყველა დანარჩენ მოლეკულათაშორის ძალას, რომ ცალკე განიხილება და **წყალბადური ბმის** სახელწოდებით მოიხსენიება.

მაგალითად, წყალბადური ბმა მყარდება წყლის, ამიაკისა და ფთორწყალბადის მოლეკულებს შორის (ნახ. 3.38).




ნახ. 3.38. მოლეკულათაშორისი წყალბადური ბმების მაგალითები.

თავი 3. ქიმიური ბმა


მოლეკულებს შორის წყალბადური ბმის არსებობა ნივთიერებათა ფიზიკურ თვისებებზეც ახდენს გავლენას. წყალბადური ბმის შემცველ ნაერთებში მოლეკულათაშორისი კავშირები იმდენად ბევრი და ძლიერია, რომ მოლეკულების ერთმანეთისაგან დასაცილებლად დიდი ენერგიაა საჭირო და, შესაბამისად, ასეთ ნაერთები სხვებისაგან დუღილის უფრო მაღალი ტემპერატურით გამოირჩევა.

მაგალითისათვის განვიხილოთ პერიოდულობის ცხრილის მე-14-17 ჯგუფის ელემენტთა წყალბადნაერთების დუღილის ტემპერატურების ცვალებადობა (ნახ. 3.39). მე-14 ჯგუფის ელემენტთა წყალბადნაერთები არაპოლარული ნაერთებია და მათ მოლეკულებს შორის არ წარმოიქმნება წყალბადური ბმები. ამ ნაერთების დუღილის ტემპერატურები იზრდება მოლეკულური მასის ზრდასთან ერთად. მაშინ, როცა სხვა ჯგუფების (მე-15, მე-16, მე-17) ყველაზე მსუბუქი წყალბადნაერთების (ამიაკი, წყალი, ფთორწყალბადი) დუღილის ტემპერატურები მკვეთრად მაღალია. ამის მიზეზია წყალბადური ბმის არსებობა ამ ნივთიერებებში (ნახ. 3.39). მაგალითად, წყლის დუღილის ტემპერატურა ბევრად აღემატება გოგირდწყალბადის დუღილის ტემპერატურას, მაშინ, როცა გოგირდწყალბადის მოლეკულური მასა დაახლოებით 2-ჯერ მეტია წყლისაზე. ამავე ჯგუფში დუღილის ტემპერატურების შემდგომი ზრდა განპირობებულია მოლეკულური მასის ზრდით.


უნდა აღინიშნოს, რომ წყალბადური ბმა მხოლოდ მოლეკულებს შორის არ წარმოიქმნება. ის შეიძლება იყოს შიდამოლეკულურიც – დამყარდეს ერთი მოლეკულის სხვადასხვა ნაწილს შორის. შიდამოლეკულური წყალბადური ბმების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია ცოცხალი ორგანიზმებისათვის, მაგალითად, ასე უკავშირდება ერთმანეთს ცილის მოლეკულის ნაწილები (ნახ. 3.40) და დნმ-ის ორმაგი სპირალის ცალკეული ჯაჭვები (ნახ. 3.41).




ნახ. 3.39. პერიოდულობის ცხრილის მე-14-17 ჯგუფების ელემენტთა აქროლად წყალბადნაერთთა დუღილის ტემპერატურები.



ნახ. 3.40. შიდამოლეკულური წყალბადური ბმები ცილის მოლეკულის ფრაგმენტებს შორის.



დნმ
(დეზოქსირიბონუკლეინის
მჟავა)




ნახ. 3.41. წყალბადური ბმები დნმ-ის კომპლემენტურ წყვილებს შორის.



კითხვები და დავალებები:

- რომელი ტიპის ბმებია აღნიშნული ციფრებით მოცემულ სურათზე?




დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

- ნახ. 3.39 მიხედვით ახსენით დუდილის ტემპერატურების ცვლილება მე-15 და მე-17 ჯგუფის წყალბადნაერთებში.



რენტგენოსტრუქტურული ანალიზი


1910 წელს სამხრეთ პოლუსისკენ მიმავალ რობერტ სკოტსა და მის ექსპედიციას სანვავი მეტალის ქურჭლით მიჰქონდათ. დაბალ ტემპერატურაზე ბიდონები შედუღების ადგილას გაიხსნა, სანვავი დაიღვარა და ექსპედიცია ენერგიის წყაროს გარეშე დარჩა. შედუღების ადგილას კალა იყო გამოყენებული. კალას 13.2°C -ზე დაბალ ტემპერატურაზე კრისტალური სტრუქტურა ეცვლება, კერძოდ, თეთრი კალადან გადადის - ნაცრისფერში, ანუ ერთი ალოტროპიდან - მეორეში. ამას „კალას ჭირს“ უწოდებენ. რაც უფრო დაბალია ტემპერატურა, მით უფრო სწრაფია ეს გადასვლა. -30°C -ზე გარდაქმნა შეიძლება მყისიერად მოხდეს და რბილი, ჭედადი მეტალის ნაცვლად ნაცრისფერი ფხვნილი შეგვრჩეს ხელში (ნახ. 1)



ნახ. 1. თეთრი კალას გარდაქმნა ნაცრისფერში.

მიუხედავად იმისა რომ ალოტროპები ერთი და იგივე ელემენტის ატომებისგან შედგება, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული თვისებები აქვს, როგორც ეს ზემოხსენებული კალის მაგალითიდან ჩანს.

კრისტალური სტრუქტურის შესწავლა შესაძლებელია ე. წ. „რენტგენოსტრუქტურული ანალიზის“ საშუალებით (ნახ. 2). მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: საკვლევ ნიმუშში გატარდება რენტგენის სხივები. სხივები, კრისტალურ მესერში ნაწილაკების განლაგების მიხედვით, ეკრანზე ქმნის გამოსახულებას, რომლის ანალიზის საფუძველზე დგინდება ნივთიერების ალანაგობა - სამგანზომილებიანი სტრუქტურა, ატომებს შორის მანძილები და ა. შ.



ნახ. 2. რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მეთოდი.


თავი 3. ქიმიური ბმა

რენტგენოსტრუქტურული ანალიზის საშუალებით არაერთი ნივთიერების თვისებები შეისწავლეს.


დოროთი ჰოჯკინმა (ნახ. 3), 1935 წელს პირველმა მიიღო ინსულინის კრისტალები, რომელთა სამგანზომილებიანი კრისტალური სტრუქტურის დასადგენად კიდევ 34 წელი დასჭირდა. მან ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ანტიბიოტიკის, პენიცილინის, სტრუქტურა დაადასტურა, ხოლო 1964 წელს დაჯილდოვდა ნობელის პრემიით ქიმიის დარგში ვიტამინი B₁₂-ის კრისტალური სტრუქტურის დადგენისთვის.




ნახ. 3. დოროთი ჰოჯკინი (1910-1994).



პენიცილინი



ვიტამინი B₁₂



ინსულინი

1940-1953 წლებში არაერთ მეცნიერს სურდა გაეშიფრა დნმ-ის, გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი მოლეკულის, სტრუქტურა. შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევა იყო ბიოლოგიის ისტორიაში. დნმ-ის სტრუქტურის გაშიფვრაში დიდი წვლილი მიუძღვის როზალინდ ფრანკლინს (ნახ. 4), რომელმაც დნმ-ის მოლეკულის რენტგენოსტრუქტურული ანალიზი ჩაატარა. ამ ინფორმაციის საშუალებით დადგინდა, რომ დნმ-ს სპირალური სტრუქტურა აქვს.




ნახ. 4. როზალინდ ფრანკლინი (1920-1958).




შემაჯამებელი სავარჯიშოები

